



თინათინ მარგალიტაძე

ფიქრები
მშობლიურ ენაზე

Fragment of an ancient stone inscription with several lines of text in a cuneiform script. The text is arranged in approximately 10 horizontal lines across the fragment. The characters are deeply carved into the light-colored stone surface. The fragment is irregularly shaped, with a jagged right edge. The background is a plain, light beige color.

თინათინ მარგალიტაძე

ფიქრები
მშობლიურ ენაზე

თბილისი

2023

დაკაბადონება, წიგნისა და ყდის დიზაინი
ირინა სიღამონიძისა

ბროშურა მომზადდა და გამოიცა
„დრესაპ ჯგუფის“ ფინანსური მხარდაჭერით




ISBN 978-9941-34-311-7

© თინათინ მარგალიტაძე

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინათქმა	5
არ შეიძლება მშობლიურ ენას ნაკლად ჩავუთვალოთ ის, რაც ენობრივი კანონზომიერებაა!	7
თუ ინგლისურ სიტყვას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს, ეს არ ნიშნავს, რომ მის ეკვივალენტს ქართულშიც იგივე მნიშვნელობები ექნება!	9
რიტორითი ჯუთაში	14
ლათინური ძირის სიტყვები ქართულ ენაში	16
ჩვენ არ ვაძლევთ ქართულ სიტყვებს განვითარების საშუალებას!	19
საყოველთაო გაოფიცრება საქართველოში ანუ ვინ არის ოფიცერი?	20
ევროკავშირში განწვრიანების საგზაო რუკა და ნატოს კლასიფიცირებული ინფორმაცია	22
უცხო სიტყვა ვერასდროს ჩაატანს ღრმად ვაცის ბუნებაში!	24
არის თუ არა FORMAL ქართულად ფორმალური?	26
მელოტი არწივი	29
ფასილიტატორი და პატერნი	31
არ იცვლება მხოლოდ მკვდარი ენები	36
ჩვენ გვიყვარს უცხო სიტყვების გამოყენება რა არის ბარბარიზმი?	39
ბოლოთქმა	45
ინგლისური წარმომავლობის ბარბარიზმების მცირე ლექსიკონი	46



წინათქმა

2016 წელს, ძალიან შეწუხებულმა ქართულ ენაში მომრავლებული ინგლისურენოვანი ბარბარიზმებით, სოციალურ ქსელში გამოვაქვეყნე მოკლე სტატიები ამ თემაზე. ჩემი მიზანი იყო მეგობრებისათვის, კოლეგებისათვის, სტუდენტებისათვის, სოციალურ ქსელში ჩემი გვერდის მიმდევრებისათვის მეჩვენებინა, რომ ამ ინგლისურ სიტყვებს ჰქონდა ქართული შესატყვისები და არ იყო საჭირო სიტყვების განურჩევლად სესხება ენაში. მაგალითად, ერთ-ერთ სტატიაში ვხსნიდი, რომ *აროგანტულის* წყარო არის ინგლისური სიტყვა arrogant და რომ მისი ქართული შესატყვისია ქედმაღალი, ამპარტავანი („გთხოვთ აროგანტულობაში არ ჩამომართვათ“ აჯობებს ითქვას ასე: „გთხოვთ ქედმაღლობაში / ამპარტავნობაში არ ჩამომართვათ“).

ჩემ მიერ გამოქვეყნებულ ამ სტატიებს, ჩემდა გასაოცრად, ძალიან დიდი გამოხმაურება მოჰყვა. აღმოჩნდა, რომ ქართული საზოგადოება უკიდურესად წუხდა ენაში მიმდინარე ქაოსური პროცესების გამო. ასე დაიბადა მოძრაობის „არა ბარბარიზმებს!“ დაარსების იდეა და სოციალურ ქსელ „ფეისბუკში“ შეიქმნა მოძრაობის გვერდი.

მას შემდეგ ექვსი წელი გავიდა და ძალიან ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება იმისათვის, რომ საზოგადოება დაფიქრდეს ენობრივ საკითხებზე, გააანალიზოს ენაში მიმდინარე პროცესების დადებითი და უარყოფითი მხარეები, იფიქროს მშობლიურ ენაზე, იზრუნოს მასზე. მოძრაობის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებების, კონკურსების, პუბლიკაციებისა და სხვა აქტივობების ნაწილი გამოქვეყნებულია შემდეგ ინტერნეტმისამართზე: <https://margaliti.com/25/post18.htm>.

ქართულ ენაში მიმდინარე პროცესების ანალიზმა მიმიყვანა დასკვნამდე, რომ მათი გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი არის უცხო ენების, განსაკუთრებით კი, ინგლისური ენის სწავლების მეთოდები. ამ მეთოდებმა, რომლებიც მაქსიმალურადაა ორიენტირებული სასწავლო პროცესიდან დედაენის განდევნაზე, თარგმნის როლის დაკნინებაზე, ასევე უარყო ორენოვანი, თარგმნითი ლექსიკონების

გამოყენებაც ერთენოვანი, უცხოენოვანი განმარტებითი ლექსიკონების სასარგებლოდ. ეს იყო დიდი შეცდომა, რადგან დღეს ქართული ენა სწორედ ინგლისურ ენასთან მიმართებით ვითარდება. ამ ორ არამონათესავე ენას შორის იმდენად დიდი განსხვავებაა როგორც ლექსიკურ, ისე მორფოლოგიურ და სინტაქსურ დონეებზე, რომ მცდარია ინგლისური ენის სწავლება, შემსწავლელისათვის ორი ენის ამ დონეებს შორის შესაბამისობის დადგენის გარეშე. სწორედ ამ ვითარებამ მიბიძგა დამეწყო ვიდეოგაკვეთილების ციკლი „რატომ უნდა ჩავიხედოთ ლექსიკონში“. ვიდეოგაკვეთილების მიზანია აჩვენოს, რომ შესაძლებელი იყო ამა თუ იმ შეცდომის თავიდან აცილება, თუ მთარგმნელი ლექსიკონში ჩაიხედავდა და გაანალიზებდა ინგლისური სიტყვის კონტექსტუალურ მნიშვნელობას. დარწმუნებული ვარ, ლექსიკონების გამოყენებას რომ ასწავლიდნენ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, ჩვენი მშობლიური ენა ბევრად უფრო დაცული იქნებოდა იმ ქაოსური პროცესებისგან, რომლებსაც ყოველდღიურად ვაწყდებით.

ეს კრებული ქართული ენის დღესთან დაკავშირებით მომზადდა. მასში შევიდა ის მასალები, რომლებსაც ამ წლების განმავლობაში ვაქვეყნებდი ქართულ ენაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. მასში ასევე შევიდა ზემოხსენებული ვიდეოგაკვეთილების მასალები. კრებული ყოველ წელს განახლდება, შეივსება ახალი ინფორმაციით და გამოქვეყნდება ქართული ენის დღის აღსანიშნავად. კრებულს დართული აქვს ყველაზე გავრცელებული ბარბარიზმების მცირე ლექსიკონი.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო კრებულის გამოცემის სპონსორს, კომპანია „დრესაპ ჯგუფს“. კომპანია მეორე წელია გვეხმარება ჩვენი პროექტების განხორციელებაში, რომლებიც ქართული ენის დაცვის საქმეს ემსახურება. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია მოიცავს ტანსაცმლის უცხოურ ბრენდებს, მისმა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა გადადგას რთული ნაბიჯი და შეცვალოს კომპანიის სახელი ქართული სახელით. ამისთვისაც დიდი მადლობა მათ.

თინათინ მარგალიტაძე

არ შეიძლება გზობლიურ ენას ნაკლად ჩავუთვალოთ ის, რაც ენობრივი კანონზომიერებაა!

ჩემი თანამემამულეებისგან, როგორც ახალგაზრდებისგან, ისე უფროსი თაობის წარმომადგენლებისგან, ხშირად მსმენია, რომ ამა თუ იმ ინგლისურ სიტყვას იმიტომ იყენებენ, რომ მისი ქართული შესატყვისი იმავე აზრს კარგად ვერ გადმოსცემს. ზოგადად, ქართულ ენაში მიმდინარე პროცესებზე დაკვირვება, ქართული და ინგლისური ენების ურთიერთმიმართების ანალიზი მიქმნის შთაბეჭდილებას, რომ ჩვენში გავრცელებულია აზრი, თითქოს ქართულ და ინგლისურ სიტყვებს შორის არსებობს მარტივი სიმეტრია, რომ ქართული სიტყვები იგივე შინაარსს გადმოსცემენ, ან უნდა გადმოსცემდნენ, რასაც მათი შესატყვისი ინგლისური სიტყვები, რომ ერთ ინგლისურ სიტყვას ერთი ქართული სიტყვა უნდა შეესატყვისებოდეს, ორს – ორი და ა.შ. სინამდვილეში კი სრულიად სხვა ვითარება გვაქვს. ძნელია მოიძებნოს ქართული და ინგლისური თითქოსდა ეკვივალენტური სიტყვები, რომლებიც ყველა კონტექსტში ჩაანაცვლებენ ერთმანეთს.

მაგ. ქართული ისარი ინგლისურად არის arrow; საათის ისარი კი არის არა arrow, არამედ hand (*of a clock*);

ქართული კარი ინგლისურად არის door; კარი (*ფეხბურთისა*) – goal; ხოლო კარი (*წიგნისა*) – chapter;

ქართული სწორის ინგლისური შესატყვისია straight (მაგ. *ქუჩა*); სწორი პასუხის შემთხვევაში, სწორის ინგლისური შესატყვისია correct (*answer*); სწორი სახის ნაკვთების შემთხვევაში კი ქართული სწორის ინგლისური ეკვივალენტია regular (*features*).

ინგლისური thick ქართულად ითარგმნება როგორც სქელი. მაგრამ thick hair არის ხშირი, გრუზა თმა; thick forest – გაუვალი, დაბურული ტყე; thick darkness თვალშეუვალი, უკუნი სიბნელე.

ინგლისური strip ქართულად არის ტანსაცმლის გახდა, მაგრამ strip the room ოთახის ავეჯისგან დაცლა; strip a bed ლოგინიდან თეთრეულის აღება (*გასარეცხად*); strip the paint საღებავის აფხევა; strip of the rank წოდების ჩამორთმევა და სხვა.

ეს არის ენობრივი კანონზომიერება!

ინგლისურ ენაში არის სიტყვები, რომლებიც ქართულ ენაში საერთოდ არ არის ლექსიკალიზებული. მაგ. privacy ინგლისურ ენაში ნიშნავს – პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას. ეს სიტყვა ქართულ ენაში არ არის ლექსიკალიზებული, ჩვენ არ გვაქვს ერთი სიტყვა, რომელიც ამ ცნებას აღნიშნავს, ამიტომ მისი ქართულად გადმოცემისათვის გვჭირდება სამი სიტყვა – „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა“.

ესეც კანონზომიერებაა და არ ნიშნავს იმას, რომ ქართული ენა ნაკლებია ინგლისურ ენასთან მიმართებით. ასევე არის ქართულშიც უამრავი ცნება, რომელიც არ არის ინგლისურ ენაში ან სხვა ენებში ლექსიკალიზებული.

სწორედ ასეთი სწორხაზოვანი სიმეტრიის არარსებობა არის ყოველი ცალკეული ენის, მათ შორის ქართული ენის, სიმდიდრე და უნიკალურობა.

ეს ასიმეტრია ინგლისური ენის შემსწავლელმა, სპეციალისტმა, მასწავლებელმა, მთარგმნელმა კარგად უნდა გაითავისონ და ინგლისური ენისა და, ზოგადად, უცხო ენების შესწავლის ქვაკუთხედი უნდა გახდეს.

თუ ინგლისურ სიტყვას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს, ეს არ ნიშნავს, რომ მის ეკვივალენტს ქართულშიც იგივე მნიშვნელობები ექნება!

სიტყვებს შეიძლება ჰქონდეს ერთზე მეტი მნიშვნელობა. პოლისემია, ანუ მრავალმნიშვნელობიანობა გავრცელებულია ყველა ენის ლექსიკურ სისტემაში. მაგ. ქართული ზედსართავი სახელი „ხისტი“, შესიტყვებაში „ხისტი ანტენა“, არ ნიშნავს იმავეს, რასაც შესიტყვებაში „ხისტი პოლიტიკოსი“. სწორედ იმ განსხვავებების გამო, რაც არსებობს ორი ენის ლექსიკურ დონეებს შორის, არასწორია მოლოდინი, რომ ქართულ სიტყვებს იგივე მნიშვნელობები შეიძლება ჰქონდეს, რაც მათ ეკვივალენტურ ინგლისურ სიტყვებს აქვს. თარგმნის დროს პოლისემია ყველაზე დიდ პრობლემას ქმნის. მთარგმნელმა იცის ინგლისური სიტყვის ერთი მნიშვნელობა და ამ სიტყვის ქართულად თარგმნისას, მას ყოველთვის ერთი ქართული ეკვივალენტით თარგმნის.

ქვემოთ რამდენიმე მაგალითს განვიხილავ.

Passion - ვნება

ქართული ინტერნეტ-საიტების თვალიერებისას ხშირად შეგხვდებათ ასეთი წინადადებები: „იალქნიანი გემები ჩემი ვნებაა“, „საჭმლის მომზადება მისი ვნებაა“, „თუ სამზარეულო თქვენი ერთ-ერთი უდიდესი ვნებაა“.

ქართულ ენაში სიტყვის „ვნება“ ძირითადი მნიშვნელობაა „ხორციელი ლტოლვა“. ქართული „ვნების“ ინგლისური ეკვივალენტია passion. მაგრამ ინგლისური სიტყვა ქართულს შესატყვისება „ხორციელი ლტოლვის“ მნიშვნელობით. ამ ინგლისურ სიტყვას აქვს სხვა მნიშვნელობაც. დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინლექსიკონი (www.dict.ge) ამ მნიშვნელობას

ასე აღწერს: „რაიმეთი ძლიერი გატაცება, რაიმესადმი ძლიერი მიდრეკილება“ (იხ. სურათი 1).

2. 1) ვნება, ლტოლვა, ხორციელი გატაცება; to bridle one's passions ვნებების დაოკება; to abandon oneself to passion ვნებას აყოლა; his passion for her made him blind to everything else ქალი ისეთ ვნებებს აღუძრავდა, რომ ირგვლივ ველარაფერს ამჩნევდა;

2) რაიმეთი ძლიერი გატაცება, რაიმესადმი ძლიერი მიდრეკილება; music is his great passion მუსიკა მისი დიდი გატაცებაა; cooking is my passion საჭმლის მომზადება / სამზარეულო ჩემი სტიქიაა; insane passion for smth. რაიმეთი გიჟური / უგუნური გატაცება;

სურათი 1.

თუ დავუბრუნდებით ზემოთ მოყვანილ მაგალითებს, მათი თარგმნისთვის გვაქვს მარჯვე შესატყვისები: „გატაცება“, „სტიქია“. „იალქნიანი გემები ჩემი ჭნუჭა სტიქიაა / გატაცებაა“, „საჭმლის მომზადება მისი ჭნუჭა სტიქიაა / გატაცებაა“.

ამ შემთხვევაში ქართულ სიტყვას მიენერება მისი ინგლისური შესატყვისის პოლისემიური მნიშვნელობა, რაც მას არა აქვს. მიზეზი ქართული სიტყვის ასეთ კონტექსტში გამოყენებისა არის არასწორი წარმოდგენა იმაზე, რომ ინგლისურ და ქართულ სიტყვებს ერთნაირი მნიშვნელობები უნდა ჰქონდეთ. მთარგმნელი არ ეძებს ბუნებრივ ქართულ შესატყვისს და ტექსტს სიტყვასიტყვით თარგმნის ინგლისურიდან.

Chemistry - ქიმია

მსგავსი შემთხვევაა ქართული სიტყვა „ქიმის“ გამოყენება შემდეგ კონტექსტებში: „მათ ძლიერი ქიმია აკავშირებდათ“, „ჩვენ შორის ქიმია თანდათან გაქრა“, „თქვენ შორის ძლიერი ქიმია იგრძნობა“ და სხვა.

ქიმია ქართულ ენაში მხოლოდ მეცნიერების დარგს აღნიშნავს (იხ. ქართული ენის ლექსიკონი, www.ganmarteba.ge – სურათი 2).

ქიმია

არსებითი სახელი

ნათესაობითი ბრუნვა: ქიმიის

მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ნივთიერებათა შემადგენლობას, აგებულებას, თვისებებსა და ურთიერთგარდაქმნას.

არაორგანული ქიმია.

ბმულები

ქიმიური

სურათი 2.

ინგლისურში კი ამ სიტყვას (chemistry) სხვა მნიშვნელობებიც აქვს: 1) ძლიერი ფიზიკური მიზიდულობა ადამიანებს შორის; 2) ურთიერთსიმპათია, ემოციური მიზიდულობა ადამიანებს შორის (იხ. სურათი 3).

1. ქიმია; organic [inorganic] chemistry ორგანული [არაორგანული] ქიმია; agricultural chemistry აგროქიმია; applied chemistry ა) გამოყენებითი ქიმია; ბ) ქიმიური ტექნოლოგია; atom / nuclear / chemistry ბირთვული ქიმია; რადიოქიმია; photographic chemistry ფოტოქიმია; tracer chemistry (რადიოაქტიურ) ინდიკატორთა ქიმია;

2. 1) ძლიერი ფიზიკური მიზიდულობა (ადამიანებს შორის); sexual chemistry ძლიერი ფიზიკური მიზიდულობა, ლტოლვა; სექსუალური მიზიდულობა;

2) ემოციური მიზიდულობა, ურთიერთსიმპათია (ადამიანებს შორის);

სურათი 3.

ინგლისური სიტყვის გავლენით ქართულ „ქიმიასაც“ მიაწერენ ამ მნიშვნელობას, არადა აღნიშნული მნიშვნელობით ინგლისური chemistry არა ქიმიით, არამედ სხვა ქართული ეკვივალენტებით უნდა გადმოიცეს. მაგ.: „მათ ძლიერი ქიმიო ვნება აკავშირებდათ“, „ჩვენ შორის ქიმიო ლტოლვა თანდათან გაქრა“, „თქვენ შორის ძლიერი ქიმიო ლტოლვა / მიზიდულობა იგრძნობა“.

Budget - ბიუჯეტური

„ბიუჯეტური სასტუმრო“

„ბიუჯეტური ფრენები“


„ბიუჯეტური სადილი“

„ბიუჯეტური ნამცხვარი“...

საიდან გაჩნდა ქართულ ენაში ეს სიტყვა და რას ნიშნავს ის?

„ბიუჯეტური“ უკავშირდება ინგლისურ სიტყვას budget. ამ სიტყვას ინგლისურ ენაში 3 კონვერსიული ფორმა აქვს, ის არსებითი სახელიცაა, ზედსართავი სახელიც და ზმნაც.

ინგლისურ ზედსართავ სახელს budget აქვს 2 მნიშვნელობა: 1) ეკონომიური, იაფი, არაძვირი. ეს მნიშვნელობა ამ სიტყვას, ჩვეულებრივ, აქვს სარეკლამო განცხადებებში; 2) მცირებიუჯეტური (იხ. სურათი 4).



The screenshot shows a dictionary entry for "budget II" with the following details:

- budget II** adjective
- ['bʌdʒɪt]
- 1) ეკონომიური, იაფი, არაძვირი (სარეკლამო განცხადებებში); a budget hotel იაფი სასტუმრო;
- 2) მცირებიუჯეტური.

Navigation arrows point to "budget I" on the left and "budget III" on the right.

სურათი 4.

ამდენად, ბიუჯეტური სხვა არაფერია, თუ არა „იაფი“, „ხელმისაწვდომი“.

ბიუჯეტური ფრენები – იაფი ფრენები

ბიუჯეტური სასტუმრო – იაფი / ხელმისაწვდომი სასტუმრო, სასტუმრო ხელმისაწვდომი ფასებით

ბიუჯეტური საჭმელი, რეცეპტი – იაფი საჭმელი, რეცეპტი

ბიუჯეტური სმარტფონები, ლეპტოპები – იაფი სმარტფონები, ლეპტოპები

უდავოა ის ფაქტი, რომ ენებს შორის ასეთი ტიპის სესხებაც ხდება და ქართულ სიტყვას შესაძლოა განუვითარდეს ახალი პოლისემიური მნიშვნელობა ინგლისური შესაბამისი სიტყვის პოლისემიის გავლენით, რასაც ენათმეცნიერაში სემანტიკური სესხება ეწოდება. მაგრამ უნდა განვასხვაოთ ენის საჭიროება და არასწორი წარმოდგენებით ენისთვის თავს მოხვეული სიტყვების გამოყენება. ასეთი შემთხვევების მეტისმეტი

გახშირებაა საგანგაშო, რასაც ინგლისურიდან ქართულ ენაზე თარგმნილ ტექსტებში (ფილმებში, რომანებში და ა.შ.) ვაწყდებით. ერთ-ერთი ფილმის ქართულ თარგმანში წარღვნამდელი ადამიანი კორუმპირებულადაც კი მოიხსენიეს! ამ უხერხული შეცდომის სათავე არის ინგლისური სიტყვა corrupted. მას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს, მათ შორის „გარყვნილი, გახრწნილი“ და არა მხოლოდ „კორუმპირებული“. ცხადია, ხსენებულ კონტექსტში წარღვნამდელი ადამიანის მორალური გარყვნილება იგულისხმება, მაშინ ადამიანები, ნაკლებად სავარაუდოა, კორუმპირებული ყოფილიყვნენ 😊

რითრითი ჯუთაში

რადგან პოლისემიას შევხვებით, ერთ საკითხზე მინდა გავამახვილო მკითხველის ყურადღება. ყველა სიტყვას ენაში საინტერესო ისტორია აქვს, მხოლოდ ეს ისტორია მოცემული ენის შინაგანი ლოგიკით, აზრის გადმოცემის მისეული მანერით ყალიბდება.

ერთი ასეთი სიტყვაა ინგლისური – **retreat**.

აღნიშნული სიტყვა ინგლისურ ენაში გაჩნდა მე-14 საუკუნის ბოლოს, პირველი მაგალითი მისი გამოყენებისა დიდი ოქსფორდის ლექსიკონში თარიღდება 1375 წლით, ხოლო მნიშვნელობა არის სამხედრო:

1. უკან დახევა, უკან დანევა, უკუქცევა.

მოგვიანებით სიტყვას გაუჩნდა გადატანითი მნიშვნელობა:

2. უკან დახევა (*საფრთხის დროს, სიძნელეების წინაშე და სხვა*).

აქ არ დასრულებულა ამ ინგლისური სიტყვის მნიშვნელობის განვითარება, მოგვიანებით მას უჩნდება შემდეგი მნიშვნელობები:

3. მყუდრო / უსაფრთხო ადგილას განმარტოება (1475 წელი);

4. განმარტოება, საზოგადოებისგან გაქცევა, საკუთარ თავში ჩაკეტვა (1646 წელი).

ამ მნიშვნელობებს ბუნებრივად მოჰყვა აღნიშნული სიტყვის კიდევ ერთი გადატანითი მნიშვნელობა:

5. მყუდრო მოსასვენებელი ადგილი / კუთხე; მყუდრო თავშესაფარი (*სადაც ადამიანები მიდიან დასასვენებლად, სალოცავად, მედიტაციისათვის და სხვა*).

მე-17 საუკუნეში ვითარდება მნიშვნელობა:

6. დასასვენებელი სახლი, კურორტი, სანატორიუმი.

როგორც ხედავთ, სიტყვის მნიშვნელობა ვითარდება, ჩნდება ახალი გადატანითი მნიშვნელობები, მაგრამ ეს პროცესი მიჰყვება ენის ლოგიკას: ჯარის უკუქცევა; საფრთხის წინაშე უკან დახევა; უსაფრთხო ადგილას აღმოჩენა; მყუდრო / უსაფრთხო ადგილი, მყუდრო თავშესაფარი და ა.შ.

განხილულ სიტყვას ყველა ამ მნიშვნელობით აღიქვამს ინგლისურენოვანი ადამიანი, რადგან მისთვის ბუნებრივია სიტყვის განვითარების ლოგიკა და, როგორც ენის მატარებელს, ეს ლოგიკა კარგად ესმის.

რას გვაძლევს ჩვენ **რითრითის** შემოტანა ქართულ ენაში?
არც არაფერს გარდა ბუნდოვანებისა!

ამიტომ, რომელიმე კურორტისთვის **რითრითის** დარქმევას, აჯობებს მას დაერქვას რაიმე კარგი სახელი და დაზუსტდეს, იგი დასასვენებელი სახლია, მყუდრო ადგილია განმარტოებისათვის, კურორტია თუ გამაჯანსაღებელი კომპლექსი!

ლათინური ძირის სიტყვები ქართულ ენაში

ქართულ ენაში ბევრი ლათინური ძირის სიტყვა გვაქვს. ეს სიტყვები ენაში შემოვიდა რუსული ენის გავლენის პერიოდში, შემოვიდა რუსული ენიდან, თუმცა შეიძლება ნებისმიერი ევროპული ენიდან შემოსულიყო.

მაგ., ინტელექტი – интеллект (რუსული), intellect (ინგლისური);
ტალანტი – талант (რუსული), talent (ინგლისური);
ტრანსპარანტული – транспарантный (რუსული), transparent (ინგლისური);
რეზულტატი – результат (რუსული), result (ინგლისური);
ნეგატიური – негативный (რუსული), negative (ინგლისური);
აპლიკაცია – апликация (რუსული), application (ინგლისური);
რეზერვაცია – резервация (რუსული), reservation (ინგლისური)
და სხვა.

ამდენად, ქართულ ენაში გვაქვს ლათინური ძირის სიტყვები, რომლებიც, როგორც მაგალითებიდან ჩანს, არის ინგლისურ ენაშიც. აქ გასათვალისწინებელია ერთი გარემოება, კერძოდ, აღნიშნულმა სიტყვებმა გრძელი გზა განვლო, სანამ ქართულ ენამდე მოაღწევდა: ლათინურიდან ფრანგულში, ფრანგულიდან რუსულში, რუსულიდან ქართულში. შესაბამისად, ეს სიტყვები ქართულ ენაში ძირითადად დამკვიდრდა იმ მნიშვნელობით, რომელიც მათ რუსულ ენაში ჰქონდათ. ლათინური ძირის სიტყვების მნიშვნელობა ქართულში, ხშირად არ ემთხვევა იმავე ძირის სიტყვების მნიშვნელობას ინგლისურში. დღეს ლათინური ძირის სიტყვებს ხელახლა სესხულობენ, ამჯერად ინგლისური ენიდან და სესხულობენ იმ მნიშვნელობით, რაც მას აქვს ინგლისურ ენაში.

განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი.

„რეზერვაცია“, როგორც უცხო სიტყვა, ქართულში დამკვიდრებულია შემდეგი მნიშვნელობით: *„ჩრდილოეთ ამერიკაში, სამხრეთ აფრიკასა და ავსტრალიაში: ადგილი, სადაც იძულებითი წესით არიან დასახლებული ადგილობრივი მკვიდრნი“* (მ. ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, 1989). დღეს, ინგლისური ენის გავლენით, ამ სიტყვას (reservation) „დაჯავშნის“ მნიშვნელობით იყენებენ. მაგ.: „სასტუმროს რეზერვაცია“, „სასტუმროს დაჯავშნის“ ნაცვლად.

„კონტრიბუცია“ ქართულ ენაში დამკვიდრებულია შემდეგი მნიშვნელობით: *„ფულადი გადასახადი, რომელსაც ომში გამარჯვებული მხარე დამარცხებულს აკისრებს საზავო ხელშეკრულების ძალით“*. ამ ძირის ინგლისური სიტყვის გავლენით (contribution), „კონტრიბუციას“ დღეს „წვლილის“ მნიშვნელობით იყენებენ. მაგ.: „ტურიზმის კონტრიბუცია ქართულ ეკონომიკაში“, ნაცვლად „ტურიზმის წვლილისა ქართულ ეკონომიკაში“.

„კოლაბორაცია“ მ. ჭაბაშვილის უცხო სიტყვათა ლექსიკონის მიხედვით ნიშნავს *„მტერთან თანამშრომლობას, დალატს“*. იმავე ძირის ინგლისური სიტყვის გავლენით (collaboration) დღეს ამ სიტყვას „თანამშრომლობის“ მნიშვნელობით იყენებენ. მაგ.: „ჩვენი კოლაბორაცია ევროპულ კოლეგებთან“, ნაცვლად „ჩვენი თანამშრომლობისა ევროპულ კოლეგებთან“.

„არტისტი“ ქართულ ენაში დამკვიდრებულია „მსახიობის“ მნიშვნელობით. დღეს ინგლისური ენის გავლენით (artist) ამ სიტყვას იყენებენ „მხატვრის“ მნიშვნელობით.

„ასპირანტი“ ქართულ ენაში დამკვიდრებული იყო „ასპირანტურის სტუდენტის“ მნიშვნელობით. დღეს ინგლისური ენის გავლენით (aspirant) ეს სიტყვა გვხვდება შემდეგ კონტექსტებში: „ნატოს ასპირანტი ქვეყნები“, „ევროკავშირის ასპირანტი ქვეყნები“. ინგლისური სიტყვის aspirant, რომელიც ნაწარმოებია ზმნისგან to aspire (სწრაფვა), შესატყვისებია: „მაძიებელი“, „მსურველი“. შესაბამისად, „ასპირანტი

ქვეყნის“ ნაცვლად აჯობებდა დაგვემკვიდრებინა „ნატოს / ევროკავშირის წევრობის მსურველი / მაძიებელი ქვეყნები“.

ასეთი მაგალითები ძალიან მომრავლდა. მ. ჭაბაშვილის უცხო სიტყვათა ლექსიკონში 15 000 სიტყვა-სტატიაა. ყველა უცხო სიტყვას თუ ამგვარად შეეცვალა მნიშვნელობა, მკითხველისთვის მიმინდვია იმის განსჯა, თუ რამდენად სასარგებლო იქნება ეს ქართული ენისათვის.

ჩვენ არ ვაძლევთ ქართულ სიტყვებს ბანკითარების საშუალებას!

რამდენიმე სიტყვის ანალიზი მინდა შემოგთავაზოთ.

To like, მოგეხსენებათ „მონონებას, სიყვარულს“ ნიშნავს. I like this book „მე მომწონს ეს წიგნი“; I like this actor „მე მომწონს ეს მსახიობი“; I like dancing „მე მიყვარს ცეკვა“ და ა.შ. ეს არის იგივე ზმნა, რაც გამოიყენება სოციალურ ქსელებში: Please, like my page „გთხოვთ, მოინონოთ ჩემი გვერდი“. როგორც ვხედავთ, like არის ენაში არსებული ზმნა, რომელმაც მნიშვნელობა შეიცვალა და გარდა მისი დამკვიდრებული მნიშვნელობისა, აღნიშნავს „სოციალურ ქსელში რაიმეს მონონებას“. შეგვიძლია თუ არა ჩვენ ასევე მოვიქცეთ? რა თქმა უნდა შეგვიძლია, მაგრამ გავრცელდა ინგლისური სიტყვის ტრანსლიტერირებული ფორმა „დალაიქება“.

ანალოგიური მაგალითებია: friend, რომელიც მეგობარსაც ნიშნავს და სოციალური ქსელის მეგობარსაც (რომელსაც შეიძლება არც იცნობდე); follower, რომელიც მიმდევარსაც ნიშნავს და სოციალურ ქსელში ვინმეს მიმდევარს; wall, რომელიც კედელსაც ნიშნავს და ვინმეს კედელს სოციალურ ქსელში, მსგავსი მაგალითები ძალიან ბევრი შეიძლება მოვიყვანოთ. ჩვენ კი ნაცვლად იმისა, რომ ეს სიტყვები გამოგვეყენებინა და გავგვეფართოებინა მათი მნიშვნელობა, ვარჩიეთ „ფრენდი“, „ფოლოუერი“, „ვოლი“ და ა.შ. იგივე შეიძლება ითქვას „ლინკზე“, „დათაგვაზე“, „დაფორვარდებაზე“, „აფლოუდზე“, „დაუნლოუდზე“ და სხვა.

სწორედ ასე არ ვაძლევთ ქართულ სიტყვებს მნიშვნელობის გაფართოების საშუალებას და უცხო სიტყვების შემოტანას ვამჯობინებთ ენაში.

საყოველთაო გაოფიცრება საქართველოში ანუ ვინ არის ოფიცერი?

სესხის ოფიცერი

განვადების ოფიცერი

საგადასახადო ოფიცერი

პროგრამის ოფიცერი

დაცვის ოფიცერი

სტუმრებთან ურთიერთობის ოფიცერი

თემებთან/სოფლებთან ურთიერთობის ოფიცერი

და ა.შ.

რა საყოველთაო გაოფიცრება დაგვემართა საქართველოში?

მაინც რატომ დაერქვა ამდენ თანამდებობას უცებ ოფიცერი? ვინ არის ოფიცერი?

„ოფიცერი“ ქართულ ენაში სამხედრო ტერმინია და ის აღნიშნავს პირს, რომელიც არმიისა და ფლოტის მეთაურთა შემადგენლობას განეკუთვნება.

რაც შეეხება სხვა, არასამხედრო ოფიცრებს, წყარო გაუგებრობისა აქაც არის ინგლისური სიტყვა – officer.

ინგლისური officer სამხედრო წოდებასაც აღნიშნავს და სხვა მნიშვნელობებიც აქვს (იხ. სურათი 5). მაგ.:

1. თანამდებობის პირი; დირექტორი; მმართველი; Chief Executive Officer – კომპანიის გენერალური დირექტორი, აღმასრულებელი დირექტორი.

2. მოხელე; მუშაკი, თანამშრომელი (დანესებულებისა); officer of government სახელმწიფო მოხელე; customs officer საბაჟოს მოხელე; consular officer საკონსულოს მუშაკი; scientific / research / officer მეცნიერ-მუშაკი; officer of the court სასამართლოს მოხელე; სასამართლოს აღმასრულებელი; police officer პოლიციელი.

officer I noun

[ˈɒfɪsə(r)]



1. თანამდებობის პირი; დირექტორი; მმართველი; officers of state მინისტრები; chief executive officer *იხ.* CEO; the officers of a society *აბა თუ იმ* საზოგადოების ხელმძღვანელობა;
2. მოხელე; მუშაკი, თანამშრომელი (*დანესებულებისა*); officer of government სახელმწიფო მოხელე; customs officer საბაჟოს მოხელე; conference officer კონფერენციის სამდივნოს ხელმძღვანელი; consular officer საკონსულოს მუშაკი; scientific / research / officer მეცნიერი მუშაკი; officer of the court სასამართლოს მოხელე; სასამართლო აღმასრულებელი; police officer პოლიციელი; relieving officer *მრევლის მიერ დანიშნული* ღარიბთა მზრუნველი / შეურვე;
3. *სამხ.* 1) ოფიცერი (*აგრ.* commissioned officer); მეთაური, უფროსი; an army [an air-force, a naval] officer არმიის [საჰაერო ძალების, საზღვაო ფლოტის] ოფიცერი; officer of the day მორიგე ოფიცერი; billeting officer კვარტირის ოფიცერი; officer of the guard ა) ყარაულის უფროსი; ბ) ყარაულთა მორიგე; გ) *მღვ.* გუშაგი რეიდზე დგომისას; officer of the line სამწყობრო ოფიცერი; officer of the watch *მღვ.* ვახტის ოფიცერი, მორიგე ოფიცერი; officer of the rounds ყარაულთა მორიგე; officer of the deck *მღვ.* გემის მორიგე; officer commanding მეთაური ოფიცერი (*ცეცდანაყოფისა ან ნაზილისა*); officer general შენაერთის მეთაური, სარდალი; officer's call ოფიცერთა თათბირი მეთაურთან; officer's day სამეთაურო სწავლების დღე;
- 2) *პ/* ოფიცერთა შემადგენლობა; ოფიცრობა, ოფიცრები;
4. პოლიციელი;
5. *მღვ.* საფაჯრო გემის კაპიტანი; first officer უფროსი / პირველი თანაშემწე; mercantile marine officers

სურათი 5.

როგორც ვხედავთ, ქართული „ოფიცერი“ არის სამხედრო ტერმინი და ინგლისური officer ამ შემთხვევაში უნდა ვთარგმნოთ როგორც „ოფიცერი“.

სხვა შემთხვევებში officer-ს შეესატყვისება: დირექტორი, მმართველი ან მუშაკი, მოხელე, თანამშრომელი (*დანესებულებისა*). მაგ.: Chief Executive Officer – CEO-ს ქართულად ვთარგმნით როგორც „კომპანიის გენერალურ დირექტორს, აღმასრულებელ დირექტორს“, ხომ არ ვამბობთ “კომპანიის გენერალური ოფიცერი!”

რა თქმა უნდა „ოფიცრის“ ასეთი გახშირებული ხმარება ამდენ განსხვავებულ კონტექსტში უკვე მიუთითებს იმას, რომ ის აღარ გამოიყენება მხოლოდ სამხედრო მნიშვნელობით. მაგრამ, ვფიქრობ, არ არის მისაღები ინგლისური officer-ის ყოველთვის „ოფიცრით“ თარგმნა და ამდენი ქართული შესატყვისის უგულებელყოფა.

ევროკავშირში განევრიანების საგზაო რუკა და ნათოს კლასიფიცირებული ინფორმაცია

ქართველი პოლიტიკოსებისგან ხშირად გაიგონებთ ამ ფრაზას: ევროკავშირში განევრიანების საგზაო რუკა!

რას ნიშნავს საგზაო რუკა?!

როგორც ზემოთ აღინიშნა, თუ ინგლისურ სიტყვას პოლისემიური მნიშვნელობა აქვს, ეს არ ნიშნავს, რომ ქართულ შესატყვისსაც იგივე მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს.

„საგზაო რუკა“ არის ინგლისური სიტყვის road map თარგმანი.

ინგლისურ სიტყვას road map ორი მნიშვნელობა აქვს:

1. საგზაო რუკა, რომელიც საავტომობილო ტერმინია (A map, especially one designed for motorists, showing the roads of a country or area);

2. სამოქმედო გეგმა (*განსაკუთრებით დიპლომატიაში, პოლიტიკაში და ა.შ.*). A plan or strategy intended to achieve a particular goal.

როგორც აღნიშნავენ, არის განსხვავება action plan-სა და road map-ს შორის და ამიტომ უპირატესობას ანიჭებენ ტერმინს საგზაო რუკა.

ევროკავშირში განევრიანების საგზაო რუკა ძალიან უხერხულ შეცდომად მიმაჩნია. სხვაობა action plan-სა და road map-ს შორის ბევრნაირად შეიძლება გამოიხატოს: სამოქმედო გეგმა, სამოქმედო სტრატეგია, სამოქმედო პროგრამა, დეტალური სამოქმედო გეგმა და ა.შ.

ამ ტიპის შეცდომაა შესიტყვების classified information თარგმნა როგორც „კლასიფიცირებული ინფორმაციისა“. ინგლისურ სიტყვას classified აქვს 2 მნიშვნელობა: 1. კლასიფიცირებული, სისტემაში მოყვანილი; დახარისხებული; 2. საიდუმლო, გასაიდუმლოებული (*ითქმის ინფორმაციისა და მისთ. შესახებ*); საიდუმლოლობის გრიფის მქონე.

ამდენად, classified information არის გასაიდუმლოებული / საიდუმლოობის გრიფის მქონე ინფორმაცია და არა კლასიფიცირებული ინფორმაცია. არადა ეს შესიტყვება სწორედ ასეა თარგმნილი სამთავრობო ოფიციალურ დოკუმენტებში.

„ნატოს კლასიფიცირებული ინფორმაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფა!“ არ არის უხერხული ასეთი ჩანაწერი მთავრობის დადგენილებებში?

ინგლისური სიტყვების პოლისემიური მნიშვნელობების ქართული სიტყვებისათვის თავს მოხვევას ხშირად კურიოზებამდე მივყავართ. ასეთი კურიოზია sexy car-ის ქართულად „სექსუალურად მანქანად“ თარგმნა 😊 ამ შემთხვევაშიც ინგლისურ სიტყვას sexy 2 მნიშვნელობა აქვს: 1. სექსუალური და 2. არაჩვეულებრივი, შესანიშნავი. ცხადია მანქანა შესანიშნავია, ლამაზია, სექსუალური ვერ იქნება!

უცხო სიტყვა ვერასდროს ჩაატანს ღრმად კაცის ბუნებაში!

ინსპირაცია, ინსპირირებული და კრეატიული – ამ სიტყვებმა პრაქტიკულად განდევნა ქართული ენიდან „შთაგონება“, „შთაგონებული“ და „შემოქმედებითი“!

რატომ ვეუბნებით უარს ამ სიტყვებს?!

ქართულმა ენამ ლიტერატურული ან ხელოვნების ნაწარმოების შემქმნელს, შემთხზველს – შემოქმედი უწოდა, ანუ შემოქმედებითი პროცესითა და საქმიანობით დაკავებული ადამიანი თავად ღმერთს, ყველაზე დიდ შემოქმედს გაუტოლა! ამ სიტყვას უკავშირდება და მისგანაა ნაწარმოები შემოქმედებითიც, შემოქმედებითი ნიჭი, შემოქმედებითი ძალა, ანუ თავად შემოქმედის, ღმერთის მსგავსი ნიჭი...

ამ სიტყვებთან (შემოქმედი – შემოქმედებითი) დაკავშირებულია შთაგონება. ვინ შთააგონებს ხელოვან ადამიანს, ანუ შემოქმედს? ვინ აღძრავს მას მხატვრული შემოქმედებისაკენ? ღმერთი, თავად ყველაზე დიდი შემოქმედი!

“ხშირად ხდება, რომ მშვენიერებას ვეძებთ იქ, სადაც ის არ არის და ამის გამო არასწორად გამოვხატავთ ჩვენსავე განცდებს. ფრესკაზე რომც იყოს სილამაზე, ის არაა არსებითი. ფრესკის მხატვრის მიზანი როდია, ესთეტიკური სიამოვნება და ტკბობა მოგვგვაროს. მან შთაგონება უნდა აღგვიძრას. ის წმინდა სულიერი ხელოვნებაა. როცა შევდივართ გელათში ან ცინწვისის ტაძარში, როცა ვნახულობთ დავით გარეჯის ან სვანეთის ტაძართა ფრესკებს, ისინი ჩვენში შთაგონებებს ბაძებენ. ისინი თანაშემოქმედებას ითხოვენ ჩვენგან...”

რევამ სირაძე, „სახისმეტყველება“.

უფრო უკეთესად ალბათ ძნელია წარმოვაჩინოთ სიტყვა შთაგონების მნიშვნელობა და არსი. ღვთაებრივი შთაგონება,

რომელსაც მივყავართ შემოქმედებასთან, შემოქმედთან, ვინც არის ყველაფრის საწყისი და შთაგონების წყარო.

ახლა სცადეთ და შთაგონების ნაცვლად აქ ჩასვით ინსპირაცია! მთელი მაგია იკარგება! როგორც დიდი იაკობ გოგებაშვილი იტყოდა, უცხო სიტყვა ვერასოდეს ვერ ჩასწვდება ადამიანის სულსო.

ინსპირაციას მეორე მნიშვნელობაც აქვს: „ნაქვზება, შეგულიანება“. ამ მნიშვნელობამ დროთა განმავლობაში უარყოფითი კონოტაცია შეიძინა და „ინსპირირებული“ მხოლოდ უარყოფით კონტექსტში გამოიყენება. მაგ.: გარეშე ძალებით ინსპირირებული ამბოხი და სხვა.

ერთ სატელევიზიო გადაცემაში მოვისმინე ასეთი შეკითხვა: „რამ მოგცათ ინსპირაცია თქვენი კოპროდუქტისთვის?“

ვისაც ეს მოგწონთ, ნება თქვენია, მე კი ასე მირჩევნია: „რა გახდა თქვენი შთაგონების წყარო ამ ერთობლივი ფილმის შესაქმნელად?“

არის თუ არა FORMAL ქართულად ფორმალური?

ბოლო ხანებში ძალიან გახშირდა ინგლისური სიტყვის formal ქართულად თარგმნა ერთი შეხედვით მისი ეკვივალენტური სიტყვით „ფორმალური“.

„ქალბატონი ფორმალურად იყო ჩაცმული“

„ჩვენ ფორმალური ურთიერთობა გვაქვს“

„სასამართლო თქვენს ნება-სურვილზე ვერ იფუნქციონირებს, ფორმალური ორგანოა“

„სტუდენტები წერის ფორმალურ სტილს დაეუფლებიან“

„ფორმალური განათლება“

„როგორ დავწეროთ ფორმალური წერილი“

„ძალაუფლების ფორმალური გადაცემა“.

ეს ბოლო წინადადება არის თარგმანი ინგლისური გამონათქვამისა “The formal transfer of power”. ეს ფრაზა საქართველოს ერთ-ერთ მაღალჩინოსანს ერთ-ერთი ქვეყნის პრეზიდენტმა უთხრა რამდენიმე წლის წინ და ის თარგმნეს როგორც „ძალაუფლების ფორმალური გადაცემა“. ამ ფრაზამ საქართველოში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. უცხო ქვეყნის პრეზიდენტი მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას ფორმალურად გადასცეს ძალაუფლება! ეს ხომ გაუგონარი პოლიტიკური გადაცდომაა!


საქმე ისაა, რომ „ფორმალური“ ქართულ ენაში ნიშნავს „მოჩვენებითს, ფიქციურს“. ასეთი განსხვავების მიზეზი, ერთნაირი ძირის მქონე ქართული და ინგლისური სიტყვების მნიშვნელობებში, ზემოთ განვიხილე, როდესაც ლათინური ძირის სიტყვებს ვაანალიზებდი. შესაბამისად, „ძალაუფლების ფორმალური გადაცემა“ ნიშნავს „ძალაუფლების მოჩვენებით, ფიქციურ გადაცემას“ და ასეთი თარგმანები შესაძლოა დიპლომატიური სკანდალის საფუძველიც კი

გახდეს. ბრიტანეთის ყოფილ პრემიერ-მინისტრს, მარგარეტ ტეტჩერს მიუწერება გამონათქვამი, რომ პოლიტიკოსებსა და სახელმწიფოებს შორის წარმოქმნილი უთანხმოებებისა და გაუგებრობების დიდი წილი არასწორი თარგმანის ბრალი იყო.

რას ნიშნავს ქართულად ინგლისური formal?

„დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინლექსიკონის“ მიხედვით ამ ინგლისურ სიტყვას სხვადასხვა პოლისემიური მნიშვნელობები აქვს:

- 1) ოფიციალური; formal agreement ოფიციალური შეთანხმება; formal dinner ოფიციალური სადილი;
 - 2) დადგენილი ფორმის მიხედვით შესრულებული;
 - 3) ოფიციალური, ცივი; *მეტისმეტად* კორექტული (*ითქმის ადამიანის ქცევის შესახებ*); formal bow ოფიციალური / ცივი თავის დაკვრა / მისალმება;
 - 4) ოფიციალური, მშრალი (*ითქმის ენის შესახებ*);
2. ფორმალური, მოჩვენებითი; formal politeness ფორმალური თავაზიანობა; formal interest ფორმალური ინტერესი და სხვა (იხ. სურათი 6).

<p>formal <i>adjective</i> [ˈfɔ:m(ə)l]</p> <p>1. 1) ოფიციალური; formal agreement [notice, protest] ოფიციალური შეთანხმება [შეტყობინება, პროტესტი]; formal dinner ოფიციალური სადილი;</p> <p>2) დადგენილი ფორმის მიხედვით შესრულებული; სათანადოდ / მართებულად გაფორმებული; ეტიკეტის დაცვით / შესაბამისად შესრულებული; formal charge ყველა იურიდიული ფორმალუბის დაცვით წაყენებული ბრალდება; a formal contract იურიდიულად სწორად გაფორმებული კონტრაქტი; formal invitation ოფიციალური მიწვევა; formal dress საგარეო / გამოსასვლელი ტანსაცმელი; to go formal <i>საუბ.</i> ◉ საგარეო / გამოსასვლელი ტანსაცმელი აცვია; formal opening sitting საზეიმო გახსნა; formal operation order <i>საშ.</i> სრული საბრძოლო ბრძანება;</p> <p>3) ოფიციალური, ცივი; <i>მეტისმეტად</i> კორექტული (<i>ითქმის ადამიანის ქცევის შესახებ</i>); formal bow ოფიციალური / ცივი თავის დაკვრა / მისალმება;</p> <p>4) ოფიციალური, მშრალი (<i>ითქმის ენის შესახებ</i>);</p> <p>2. ფორმალური, მოჩვენებითი; formal politeness ფორმალური თავაზიანობა; formal interest ფორმალური ინტერესი;</p> <p>3. გარეგნული; a formal resemblance between two things გარეგნული მსგავსება ორ საგანს შორის;</p>	
--	---

შესაბამისად, ფრაზით formal transfer of power, ერთ-ერთი ქვეყნის პრეზიდენტმა ის კი არ უთხრა საქართველოს მაღალჩინოსანს „ძალაუფლება ფორმალურად გადაეცითო“, ანუ მოჩვენებითად გადაეცითო, არამედ უთხრა „ძალაუფლება არჩევნების გზით გადაეცითო“, ეს არის ამ ინგლისური ფრაზის სწორი თარგმანი.

„ქალბატონი ფორმალურად კი არ იყო ჩაცმული“, არამედ „საგარეო / გამოსასვლელი ტანსაცმელი ეცვა“.

„ჩვენ ფორმალური ურთიერთობა კი არ გვაქვს“, არამედ „ჩვენ ოფიციალური ურთიერთობა გვაქვს“, რაც იმას ნიშნავს, რომ დაქორწინებას ვაპირებთ.

„სასამართლო ფორმალური ორგანო“ კი არ არის, არამედ „სასამართლო ოფიციალური ორგანო“.

„როგორ დავწეროთ ფორმალური წერილი“ კი არა, არამედ „როგორ დავწეროთ ოფიციალური წერილი“ და ა.შ.


საქართველოს მოსახლეობის ერთ ნაწილს „ფორმალური“ ჰგონია „მოჩვენებითი, ფიქციური“, მეორე ნაწილს კი „ოფიციალური“.

ენა საზოგადოებას ურთიერთობისთვის, კომუნიკაციისთვის აქვს და არა გაუგებრობებისათვის.

მელოტი არწივი

როგორც ვნახეთ, პოლისემიის უგულებელყოფა, სიტყვის პოლისემიური მნიშვნელობის გაუთვალისწინებლობა, ხშირად უხეში და უხერხული შეცდომების მიზეზი ხდება. პირდაპირი, სიტყვასიტყვითი თარგმნა განსაკუთრებით სახიფათოა, როდესაც საქმე გვაქვს ტერმინებთან.

ერთ-ერთ ვიდეოში, სურათზე გამოსახული ლამაზი ფრინველი მოხსენიებულია როგორც „მელოტი არწივი“ (იხ. სურათი 7).



ნადირობა - ამერიკული ბატები და მელოტი არწივები

სურათი 7.

აღბათ არ არის ძნელი მისახვედრი, რომ „მელოტი არწივი“ არის ინგლისური ტერმინის bald eagle სიტყვასიტყვითი თარგმანი.

ინგლისური ზედსართავი სახელი bald, ცხადია, ნიშნავს მელოტს, მაგრამ ეს, ამ პოლისემიური სიტყვის, ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მნიშვნელობაა. „დიდ ინგლისურ-ქართულ ონლაინლექსიკონში“ bald-ის სიტყვა-სტატიიაში აღწერილია ამ ზედსართავის 7 მნიშვნელობა (იხ. სურათი 8).

მე-6 მნიშვნელობა ასეთია: თავზე თეთრლაქიანი (*იოქმის ცხოველის შესახებ*), თავზე თეთრი ბუმბულის ან ბენვის მქონე.

bald adjective [ba:ld]

1. მელიტი, თავმოტყელები, ქაჩალი; to go bald გამელოტება; bald pate ა) = baldpate 1; ბ) დაშერტონზურა (კათოლიკე ბერისა); bald patch უთმო ადგილი თავზე (ჭვეულ კინჯისობე); bald ringworm ვეტ. მხოტრავი სირსველი;

2. 1) გამომლეგული, კატიტლეგული, საფარი რომ არა აქვს (მცენარეული, ბუმბულისა, მატყლისა და ა.შ.); bald hill მოტიტლეგული გორაკი; bald of vegetation შიშველი ადგილი მცენარეული საფარის გარეშე;

2) მოლიანად ვაცვეთილი (*იოქმის სალტის / საბურავის შესახებ*); a bald tyre ვაცვეთილი საბურავი;

3) ვადატ, დაუფარავი, აშკარა; bald egoism აშკარა / დაუფარავი ეგოიზმი; bald lie უტიფარი სიცრუე / ტყუილი; bald rudeness აშკარა უხეშობა;

3. შეულამაზებელი, უბრალო, პირდაპირი, შიშველი; the bald truth შეულამაზებელი / მწარე სიმართლე; a bald statement of facts შიშველი ფაქტები; ფაქტების მოყვანა კომენტარის გარეშე;

4. ცარიელი, უშინარასო;

5. უბადრუკი, უფერული; bald prose ერთფეროვანი / მოსანყენი პროზა; bald style უბადრუკი / ღარიბი / უფერული სტილი;

6. მოლო... თავზე თეთრლაქიანი (*იოქმის ცხოველის შესახებ*), თავზე თეთრი ბუმბულის ან ბენვის მქონე;

7. ტექ მილტუჩის გარეშე; ბორტის / ქიმის გარეშე;

◇ as bald as a coot / a billiard ball, an egg / საუბ. სულ მთლად მელიტი, ქაჩალი.

[მოკლე ვერსია]

სურათი 8.

ახლა თავად ფრინველის ფოტოს თუ შეხედავთ, დარწმუნდებით, რომ ეს აღწერა მას სრულად შეესაბამება.

გარდა ამისა, „დიდ ინგლისურ-ქართულ ონლაინლექსიკონში“ ცალკეა შეტანილი ტერმინი bald eagle, რომლის ქართული შესატყვისია „თეთრთავა ფსოვი“.

ეს ტერმინი შეტანილია „ინგლისურ-ქართულ ბიოლოგიურ ლექსიკონშიც“ (<https://bio.dict.ge/>).

აი, რატომ უნდა ჩავიხედოთ ლექსიკონში!

ფასილიტატორი და პატივნი

რამდენიმე წლის წინ კოლეგებმა მოხოვეს დამედგინა, თუ რას აღნიშნავს ქართულ ენაში „ფასილიტატორი“. საკმაოდ რთული ამოცანა აღმოჩნდა ამ სიტყვის მნიშვნელობის დადგება, რისთვისაც ქართული ენის კორპუსებიდან მოვიძიე და შევკრიბე ამ სიტყვის გამოყენების კონკრეტული კონტექსტები.

განვიხილოთ ეს კონტექსტები:

(1) პირველი კონტექსტი: „ტერმინი ფასილიტატორი გამოიყენება განათლების სისტემაში და ნიშნავს სპეციფიკური გამოცდილების მექონე ადამიანს, რომელიც ეხმარება სხვებს სასწავლო მიზნების მიღწევაში. კერძოდ, ფასილიტატორი შეიძლება ეწოდოს იმ მასწავლებელს ან რეპეტიტორს, რომელიც ეხმარება სპეციალური საჭიროებების მექონე მოსწავლეს დავალებების შესრულებაში“.

(2) მეორე კონტექსტი: „პილოტირების პროცესში ფასილიტატორი არის საპილოტე სკოლის მასწავლებელი, რომელმაც გაიარა სპეციალური მომზადება და ცდილობს, გადასცეს თავისი გამოცდილება სხვა მასწავლებელს, რომელსაც არ მიუღია მსგავსი გამოცდილება“.

(3) მესამე კონტექსტი: „მასწავლებელი – მრჩეველი და ფასილიტატორი, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს აღმოჩენით / გამოკვლევით სწავლაში.“

(4) მეოთხე კონტექსტი: „ფასილიტატორის ძირითადი ფუნქცია არის საკუთარი კოლეგების პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა. მას შეუძლია დახმარება გაუწიოს მასწავლებლებს როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური კონსულტაციების სახით“.

(5) მეხუთე კონტექსტი: „...არის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ფასილიტატორი (ექსპერტი)“.

(6) მეექვსე კონტექსტი: „...არის საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებზე

მომუშავე ჯგუფის პასუხისმგებელი სპეციალისტი, საარჩევნო საკითხების ტრენერი-ფასილიტატორი“.

(7) მეშვიდე კონტექსტი: „ბარბარიზმები ქუთაისელთა მეტყველებაში“ – პროექტის ფასილიტატორი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი“

კონტექსტების ციტირება შეიძლება გავაგრძელოთ, თუმცა, ვფიქრობ საკმარისია იმ სიტყვების დასანახავად, რაც „ფასილიტატორის“ ინტერპრეტაციას უკავშირდება ქართულ ენობრივ სივრცეში.

მაშ, ვინ არის ფასილიტატორი?

ფასილიტატორი არის მასწავლებელი ან რეპეტიტორი, რომელიც ეხმარება სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეს დავალებების შესრულებაში; ან

საპილოტე სკოლის მასწავლებელი, რომელმაც გაიარა სპეციალური მომზადება და ეხმარება სხვა მასწავლებლებს; ან მასწავლებელი, რომელიც ეხმარება მოსწავლეს ადმოჩენით / გამოკვლევით სწავლაში (?); ან მასწავლებელი, რომელსაც შეუძლია დახმარება გაუწიოს მასწავლებლებს როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური კონსულტაციების სახით; ან ექსპერტი; ან სპეციალისტი; ან ტრენერი; ან მოდერატორი.

ახლა, როდესაც გავარკვეით თუ რა მნიშვნელობით გამოიყენება „ფასილიტატორი“ ქართულ ენაში, გასაგები ხდება ის დაბნეულობა და გაურკვეველობა, რაც ამ სიტყვას უკავშირდება.

ფასილიტატორი წყარო ენაში (ანუ ინგლისურ ენაში)

ფასილიტატორის წყარო, ცხადია, არის ინგლისური სიტყვა – facilitator.

Facilitation ნიშნავს „შემსუბუქებას, გაადვილებას, გაიოლებას“, შესაბამისად, facilitator არის „ის, ვინც აადვილებს, ამსუბუქებს, ხელს უწყობს რაიმეს“, კერძოდ: სასწავლო პროცესს, დისკუსიას, სემინარს / სამუშაო შეხვედრას და სხვა. როგორც ინგლისური განმარტებებიდან

ჩანს, იგი არ ერევა უშუალოდ პროცესში, არამედ მიმართულებას აძლევს მას პროცესის ზედამხედველობით, რჩევით, კონსულტაციით და ა.შ.

- a person who helps someone do something more easily by discussing problems, giving advice, etc. rather than telling them what to do;
- one that helps to bring about an outcome (as learning, productivity, or communication) by providing indirect or unobtrusive assistance, guidance, or supervision.

ქართულ ენაში არის ბევრი სიტყვა, რომელიც აღნიშნული ინგლისური სიტყვის მნიშვნელობას გადმოსცემს, კერძოდ:

წარმმართველი, „ვინც ან რაც წარმართავს, სწორი მიმართულების მიმცემი“;

მრჩეველი, „რჩევის, რჩევა-დარიგების მიმცემი“;

დამხმარე;

თანაშემწე;

კონსულტანტი.

მაგ.:

The teacher acts as a facilitator of learning მასწავლებელი სასწავლო პროცესის წარმმართველია;

Facilitator of a discussion დისკუსიის წარმმართველი;

Facilitator of a project პროექტის მრჩეველი / კონსულტანტი.

გაუგებრობის მიზეზი

გაუგებრობას იწვევს ის, რომ ინგლისურ სიტყვებს facilitation, facilitator ძალიან ფართო მნიშვნელობა აქვს და მათ ბევრი ქართული სიტყვა შეესატყვისება სხვადასხვა კონტექსტში. წარმმართველი, დამხმარე, თანაშემწე, მრჩეველი, კონსულტანტი და ა.შ. აკონკრეტებს ამ ინგლისური სიტყვის მნიშვნელობას ცალკეულ კონტექსტებში.

როდესაც ამდენი ქართული სიტყვის ნაცვლად ყველგან ვიყენებთ „ფასილიტატორს“, ცხადია ეს წარმოშობს სიჭრელეს და იწვევს იმ გაუგებრობას, რაც ამ სიტყვის გამოყენებას ახლავს ქართულ ენაში.

პატერნი

ანალოგიური ვითარებაა „პატერნის“ შემთხვევაში. ინგლისური სიტყვა pattern ასევე ძალიან ფართო მნიშვნელობისაა და ბევრ ქართულ ეკვივალენტს მოიცავს: ნიმუში, თარგი, მოდელი, წესი, ყაიდა, მანერა, თავისებურება, სახე, მოხატულობა, ორნამენტი და ა.შ. (იხ. სურათი 9). ყველა ეს ქართული სიტყვა ჩაანაცვლა „პატერნმა“, შესაბამისად სრულიად გაუგებარი და ბუნდოვანია მისი მნიშვნელობა.

pattern I *noun* 🖨
 ['pætɪn]

1. 1) ნიმუში, მოდელი; standard pattern დადგენილი / სტანდარტული ნიმუში; made to pattern ნიმუშის / მოდელის მიხედვით დამზადებული;
- 2) ტანსაცმლის და ა.შ. მოდელი / ფასონი; the latest pattern of combat boot მაღალეყლიანი სამხედრო ფეხსაცმლის უკანასკნელი მოდელი;
- 3) *გადატ.* რისამე ტიპური მაგალითი / ნიმუში; განსახიერება (*ამა თუ იმ თვისებისა*); სამაგალითო / სანიმუშო რამ; she is the pattern of all the virtues *ეს ქალი სათნოების განსახიერებაა*;
2. *რისამე* წესი, ყაიდა; *რისამე* მანერა, თავისებურება; a pattern of life / of living / ცხოვრების წესი / სტილი; pattern of thoughts აზროვნების მანერა / ყაიდა; a behaviour pattern ქცევის თავისებურება / კანონზომიერება; pattern of international trade საერთაშორისო ვაჭრობის სტრუქტურა; the illness is not following its usual pattern ავადმყოფობა მისთვის ჩვეული გზით არ მიმდინარეობს;
3. სახე, მოხატულობა, ორნამენტი (*ქსოვილზე* და ა.შ.); flowery [geometric] pattern ყვავილოვანი [გეომეტრიული] ორნამენტი;
4. *სუვე.* 1) ნიმუში; შაბლონი; მოდელი; თარგი; moving pattern მოძრავი მოდელი; paper pattern ქაღალდის თარგი; a dress pattern კაბის თარგი;
- 2) ყალიბი; ფორმა;
- 3) სქემა, დიაგრამა;

სურათი 9.

მაგალითად, ძნელი გასაგებია რას ნიშნავს „ქცევის პატერნი“, თუმცა გასაგებია „ქცევის ყაიდა / მანერა / სტილი“.

ძნელი გასაგებია რას ნიშნავს „ქეისების პატერნი“, თუმცა გასაგებია „ცალკეული შემთხვევების მსგავსება / კანონზომიერება“.

მავანმა შეიძლება გვითხრას, რომ „ყაიდა“ არაბული წარმოშობის სიტყვაა, ასევე ნასესხები სიტყვებია „მანერა, სტილი“. საქმე ისაა, რომ ეს სიტყვები: ყაიდა, მანერა, სტილი, უკვე დიდი ხანია დამკვიდრებულია ქართულ ენაში, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართულმა საზოგადოებამ კარგად იცის ამ სიტყვების მნიშვნელობა. საზოგადოების დიდი ნაწილისთვის უცნობია რას ნიშნავს „პატერნი“. მავანმა შეიძლება ესეც გვითხრას, რომ ახლა თუ არ იცის, მერე ისწავლის. სიტყვების ენაში დამკვიდრება არ არის ადვილი პროცესი. გარდა ამისა, ჩემი აზრით, დაუშვებელია ასეთი პოლისემიური სიტყვის სესხება ყველა მისი პოლისემიური მნიშვნელობისთ და ათობით ქართული სიტყვის ერთი ნასესხობით ჩანაცვლება. და კიდევ: რამდენი სიტყვა უნდა ვისესხოთ ერთი და იმავე ცნების აღსანიშნავად?!

არ იცვლება მხოლოდ მკვდარი ენები

არ მინდა მკითხველს შეექმნას ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს მე ვწინააღმდეგები ცვლილებებს ენაში. ორიოდ წლის წინ ერთ-ერთი ონლაინლექსიკონის ბლოგზე ასეთი ციტატა წავიკითხე: „არ იცვლება მხოლოდ მკვდარი ენა და ერთადერთი მიზეზი, რის გამოც იგი არ იცვლება არის ის, რომ ამ ენაზე აღარავინ არ ლაპარაკობს. სემანტიკური ცვლილება ენის სიჯანსაღის ნიშანია, და არა ნიშანი იმისა, რომ ახალგაზრდები / ჟურნალისტები / მუსიკოსთა ესა თუ ის ჯგუფი ჩვენს ძვირფას ენას ანადგურებენ.“

ლექსიკონის როლი იმაში მდგომარეობს, რომ დააფიქსიროს ეს ცვლილებები და რაც შეიძლება ზუსტად მოახდინოს მათი დოკუმენტირება. კარგი ლექსიკონის დანიშნულებაა, განგვიმარტოს, თუ როგორ იყენებენ ენას სხვა ადამიანები; მისი დანიშნულება არაა რაღაც წარმოსახვითი სისწორის ნორმების დაცვა.“

ამ ციტატით გამოთქმულია მოსაზრება, რომ ენა, თუ შეიძლება ასე ითქვას, უნდა „მიუშვათ“ და უკრიტიკოდ მივიღოთ ყველა ცვლილება, რაც ენაში მოხდება, მერე კი ეს ცვლილებები აღვწეროთ. მე ეს მოსაზრება ერთი უკიდურესობა მგონია, მეორე უკიდურესობა კი, ჩემი აზრით, არის პურიზმი, ანუ ენობრივი პოლიტიკა, რომელიც ეწინააღმდეგება ყველანაირ ნასესხობას ენაში. მე ორივე ეს მიდგომა მცდარად და ორ უკიდურესობად მიმაჩნია, არც პურიზმის მომხრე ვარ, მაგრამ არც ენის თვითდინებით „მიშვება“ მომწონს.

ენის თავის ნებაზე „მიშვება“ საკმაოდ სახიფათოა, და იმის საჩვენებლად, თუ რამდენად სახიფათო შეიძლება აღმოჩნდეს ასეთი პროცესები, მინდა განვიხილოთ ერთი მაგალითი ინგლისური ენის ისტორიიდან.

ქვემოთ წარმოდგენილია პატარა ფრაგმენტი ძველი ინგლისური წერილობითი ძეგლიდან. ეს არის ერთი თავი ღირსი ბედას „ინგლისელი

ერის საეკლესიო ისტორიიდან“ და აღწერს ანგლოსაქსების მიგრაციას ბრიტანეთის კუნძულებზე (იხ. სურათი 10).

ანგლოსაქსთა დასახლება ბრიტანეთში

თარგმანები: თანამედროვე ინგლისური

Pa¹ zesomnedon hi zemot and þeahtedon and ræddon, hwæt him to donne wære, hwær him wære fultum to secanne to Ʒeearnienne and to wiðscufanne swa reðre herzunƷe and swa Ʒelomlicre þara norðþeoda. And þa¹ Ʒelicode him eallum mid heora cyninƷe, WyrƷteorn wæs haten, þæt¹ hi Seaxna þeode ofer þam sælicum dælum him on fultum ƷecƷydon and Ʒelaðedon. Þæt cuð is þæt¹ þæt mid Drihtnes mihte Ʒestihtad wæs, þæt¹ yfell wræc come ofer ða wiþcorenan, swa on þam ende þara wisena sweotolice ætywed is.

Ða¹ wæs ymb feower hund wintra and niƷon and feowertƷ fram ures Drihtnes menniscnyse, þæt¹ Martianus casere rice onfenƷ and VII (seofon) Ʒear hæfde. Se wæs syxta eac feowertƷum fram AƷusto þam casere. Ða¹ AnƷel þeod and Seaxna wæs Ʒelaðod fram þam foresprecenan cyninƷe, and on Breotone com on þrim myclum scƷpum; and on eastdæle þyses ealondes eardunƷstowe onfenƷ þurh ðæs ylcan cyninƷes bebod, þe hi hider Ʒelaðode, þæt¹ hi sceoldan for heora eðle compian and feohtan. And hi sona compedon wið heora Ʒewinnan, þe hi oft ær norðan onherƷedon; and Seaxan þa siƷe ƷesloƷan. Pa¹ sendan hi ham ærendracan and heton secƷan þyses landes wæstm bærnysse, and Brytta

სურათი 10.

როგორც ამ სურათიდან ჩანს, ეს ტექსტი სრულიად გაუგებარია ჩვენთვის და არა მხოლოდ ჩვენთვის. ძველი ინგლისური წერილობითი ძეგლები გაუგებარია თვით ინგლისელებისთვისაც. სხვაობა განსაცვიფრებელია ძველ ინგლისურსა და თანამედროვე ინგლისურს შორის. ინგლისურენოვან ადამიანს, ვისთვისაც ინგლისური ენა მშობლიური ენაა, არ შეუძლია ორიგინალში წაიკითხოს ძველი ინგლისური ენის წერილობითი ძეგლები, მათ შორის ისეთი შედეგრი, როგორცაა ანგლოსაქსური პოემა „ბეოვულფი“.

რამ გამოიწვია ინგლისური ენის ასეთი დრამატული შეცვლა? ეს ცვლილებები უკავშირდება პერიოდს ინგლისური ენის ისტორიაში, რომელსაც ადრეული საშუალო ინგლისური ენის პერიოდი ეწოდა და მოიცავს მე-11 საუკუნის მეორე ნახევარს, მე-12, მე-13 საუკუნეებს

და მე-14 საუკუნის პირველ ნახევარს. ამ ისტორიულ პერიოდში ინგლისი დაპყრობილი იყო ფრანგ-ნორმანების მიერ და სახელმწიფო ენა ინგლისში იყო ფრანგული ენა. ინგლისურმა ენამ სახელმწიფო ენის სტატუსი დაიბრუნა მხოლოდ მე-14 საუკუნის მეორე ნახევარში. სწორედ ამ სამ საუკუნეში გარდაიქმნა ინგლისური ენა ძირეულად. იგი თვითდინებით, სტიქიურად ვითარდებოდა ფრანგული ენის გავლენის ფონზე და პრაქტიკულად დაკარგა რა ანგლოსაქსური ნიშან-თვისებები, სრულიად სხვა ენად გადაიქცა. როგორც აღინიშნა, ინგლისურმა ენამ სახელმწიფო ენის სტატუსი დაიბრუნა მე-14 საუკუნის მეორე ნახევარში, მაგრამ შემდეგ, საუკუნეები დასჭირდა ინგლისურ ენას იმისათვის, რომ სალიტერატურო და სახელმწიფო ენად ქცეულიყო. მე-17 და მე-18 საუკუნეები ცნობილია ინგლისური ენის ისტორიაში როგორც „ნორმალიზაციისა და სიზუსტის ეპოქა“. სწორედ ამ პერიოდში დადგინდა საბოლოოდ ინგლისური ენისათვის ნორმები ენის ყველა დონეზე.

რატომ გავიხსენე აქ ეს ისტორია?! ალბათ იმიტომ, რომ მეჩვენებინა, რომ ენის თვითდინებაზე „მიშვება“ არ არის უსაფრთხო. ენა საზოგადოებას ურთიერთობისთვის აქვს და უცხო ენის გავლენით გამოწვეული დიდი ცვლილებები ენაში, გარკვეულწილად, საფრთხეს უქმნის ენის საკომუნიკაციო ფუნქციას.

სად არის გამოსავალი? გამოსავალი არის ოქროს შუალედი. ენის ცვლილებას ვერ შევწინააღმდეგებით, მაგრამ არც ის ცვლილებებია მისაღები, რომლებიც არცოდნის, შეცდომების, ენობრივ საკითხებზე არასწორი შეხედულებების გამო ეხვევა თავს ქართულ ენას.

ჩვენ გვიყვარს უცხო სიტყვების გამოყენება

ქართულ ენაში ბევრი ნასესხები სიტყვაა, მათ შორის, როგორც ზემოთ აღინიშნა, ლათინური ძირის სიტყვები. ხშირ შემთხვევაში, ლათინური ძირის ნასესხობას აქვს ქართული შესატყვისი, მაგალითად: ნეგატიური – უარყოფითი, პოზიტიური – დადებითი, დისტანცია – მანძილი, ევოლუცია – განვითარება, ფატალური – საბედისწერო, ტოლერანტობა – შემწყნარებლობა, მიზანთროპი – კაცთმოძულე, ვერდიქტი – განაჩენი, კრისტალური – უმნიშვნელო და სხვა. 2022 წელს, ქართული ენის დღესთან დაკავშირებით, გამოვაქვეყნეთ „უცხო სიტყვებისა და მათი ქართული შესატყვისების გლოსარიუმი“. მასში შევიდა ყველაზე გავრცელებული უცხო სიტყვებისა და მათი ქართული შესატყვისების 750 სინონიმური რიგი, მთლიანად 1,500-ზე მეტი ლექსიკური ერთეული. გლოსარიუმის ჩამოტვირთვა შეიძლება შემდეგი მისამართიდან: <https://margaliti.com/sinonimebis-leqsikoni.pdf>.

გლოსარიუმი შეადგინა ლექსიკოგრაფიის მაგისტრმა ქეთევან თევდორაძემ. წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „უნილაბმა“ შექმნა აღნიშნული გლოსარიუმის ონლაინვერსია, რომელიც ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://glosarium.iliauni.edu.ge/>.

ცნობილი ფაქტია, რომ ქართულ საზოგადოებას უყვარს უცხო სიტყვების ხშირი გამოყენება. ამ პროექტზე მუშაობისას ჩავატარეთ კვლევა, რომლის მიზანი იყო დაგვედგინა, თუ რამდენად უფრო ხშირად ვიყენებთ უცხო სიტყვას მის ქართულ შესატყვისთან შედარებით. კვლევა ჩავატარეთ ქართული ენის ეროვნული კორპუსის გამოყენებით და შევისწავლეთ უცხოურ-ქართული სინონიმური რიგების გამოყენების სიხშირე. სიხშირულმა ანალიზმა აჩვენა, რომ უცხო სიტყვების გამოყენება ბევრად აღემატება მათი ქართული შესატყვისების ხმა-

რებას. კერძოდ, გაანალიზებული სინონიმური რიგების 76%-ის შემთხვევაში უფრო ხშირია უცხო სიტყვების გამოყენება, ვიდრე მათი ქართული ეკვივალენტებისა.

ჩვენი კვლევის ამ შედეგმა წაგვახალისა შეგვედგინა ეს გლოსარიუმი, რათა უცხო სიტყვებთან ერთად ხელი შევუწყოთ მათი ქართული შესატყვისების გამოყენების გააქტიურებას. ეს, ჩვენი აზრით, სტილისტური თვალსაზრისითაც მიზანშეწონილია, რადგან ჩვენს მეტყველებას თუ წერას უფრო მრავალფეროვანსა და ლექსიკურად მდიდარს გახდის.

რა არის ბარბარიზმი?

როდესაც დავინწყეთ მოძრაობა „არა ბარბარიზმებს“ ექვსი წლის წინ, დროდადრო ვაწყდებოდით, და ხანდახან დღესაც ვაწყდებით, შემდეგი შინაარსის კომენტარებს. ჩვენი გვერდის ზოგიერთი მკითხველი თვლის, რომ „ფანჯარაც“ ბარბარიზმია და ამიტომ არ უნდა გავუწიოთ წინააღმდეგობა ინგლისურ სიტყვებს. ზოგიერთი მკითხველი კი მიგვითითებს, რომ ჩვენს სტატიებში ვიყენებთ უცხო სიტყვებს და ვერ ხედავს განსხვავებას უცხო სიტყვასა და ბარბარიზმს შორის.

ყველა უცხო სიტყვა არაა ბარბარიზმი, ხოლო მოძრაობა „არა ბარბარიზმებს“ არის მოძრაობა არა უცხო სიტყვების წინააღმდეგ, არამედ უცხო სიტყვების გაუაზრებელი, ქაოსური სესხების წინააღმდეგ.

რატომ „ფანჯარა?!“

„ფანჯარა“ სპარსული სიტყვაა, იგი ქართულმა ენამ სპარსული ენიდან ისესხა. როგორც თანამედროვე ქართული ენის ანალიზი გვიჩვენებს, ქართულ ენაში მრავლადაა სპარსული, თურქული, არაბული, რუსული თუ სხვა ენებიდან ნასესხები სიტყვები. ენის ისტორია განუყოფელია ერის ისტორიისაგან და ენის ლექსიკა ჟამთააღმწერლის სიზუსტით ასახავს ერის ისტორიულ პერიპეტიებს. სწორედ ჩვენი ისტორიული ბედუკულმართობის შედეგადაა ქართულ ენაში სპარსული, არაბული და თურქული ნასესხები სიტყვები. ასევე გასაგები უნდა იყოს, რატომ შემოვიდა ამდენი სიტყვა ქართულში რუსული ენიდან, როდესაც ჩვენი ქვეყანა პრაქტიკულად ორენოვანი იყო ორი საუკუნის განმავლობაში.

ქართული ლექსიკის ის ნაწილი, რომელიც ნასესხებია სპარსულიდან, თურქულიდან, არაბულიდან, რუსულიდან, თუ ნებისმიერი სხვა ენიდან, ქართული ლექსიკისა და ქართული ენის განუყოფელი ნაწილია, მათი ისტორია კი ასახულია ამ სიტყვების ეტიმოლოგიაში. ეს სიტყვები უკვე დამკვიდრებულია ქართულ ენაში, მათი მნიშვნელობა

ყველასთვის გასაგებია, მათ ვერც აღვიქვამთ ნასესხობად თუ სიტყვების ეტიმოლოგიები არ გადავამოწმეთ.

როდის დგება ენაში უცხო სიტყვის შემოტანის საჭიროება?

უცხო სიტყვების ენაში შემოტანის საკითხი დგება მაშინ, როდესაც ენობრივი საზოგადოება ეცნობა ახალ რეალიებს ან იქმნება ახალი ცოდნა, რასაც მოსდევს ახალი ცნებებისა და შესაბამისად ახალი სიტყვების წარმოქმნა. მაგალითად, შეიქმნა ინტერნეტი და გაჩნდა სიტყვა – Internet, შეიქმნა კომპიუტერი და გაჩნდა სიტყვა – computer, უფრო ადრე გაჩნდა ტელევიზორი, ტელეფონი, და ასე შემდეგ.

ამ შემთხვევაში ენას ორი არჩევანი აქვს: იგი ამგვარი ახალი ცნებებისათვის ქმნის მშობლიურ სიტყვებს საკუთარი ენის რესურსებით, ან სიტყვა შემოაქვს ენაში როგორც უცხო სიტყვა. ბევრი ენა ირჩევს პირველ გზას, მაგალითად, კომპიუტერის ეკვივალენტი ირლანდიურ ენაში არის *ríomhaire*, ინტერნეტისა – *an t-idirlíon*; პრეზიდენტი ირლანდიურად არის *uachtarán*. დინობავრის ეკვივალენტი ისლანდიურ ენაზე არის *risaeðla*, სიტყვასიტყვით „გოლიათი ხვლიკი“. თვეების სახელები ჩეხურ ენაზე არის: *leden, únor, březen, duben, květen, červen, červenec, srpen, září, říjen, listopad, prosinec*.

ქართული ენა საკმაოდ ღიაა ამ თვალსაზრისით, იგი იღებს უცხო სიტყვებს, თუმცა, ქართული ენის რესურსებით ახალი სიტყვების შექმნის არაერთი წარმატებული მაგალითი არსებობს.

ამდენად, უცხო სიტყვის ენაში შემოტანის საჭიროება დგება მაშინ, როდესაც ენობრივი საზოგადოება ეცნობა ახალ რეალიებს, ან მაშინ, როდესაც იქმნება ახალი ცოდნა, თუმცა, როგორც ვნახეთ, ამ შემთხვევაშიც ენას აქვს არჩევანი: ამ ახალი ცნების აღმნიშვნელი უცხო სიტყვის შემოტანა ენაში, ან მშობლიური ენის რესურსებით ახალი სიტყვის შეთხზვა.

ბარბარიზმი არის საჭიროების გარეშე ენაში შემოტანილი უცხო ენის სიტყვა, რომელსაც აქვს შესატყვისი მშობლიურ ენაში (ხშირად რამდენიმე შესატყვისიც, მათ შორის ენაში უკვე დამკვიდრებული ნასესხობა) და რომლის ასიმილაცია ენაში არ ხდება.

შესაძლოა გაჩნდეს კითხვა: „დააცადეთ ბატონო და დროთა განმავლობაში ასიმილირდებაო“. სამწუხაროდ, ეს ყოველთვის ასე არ ხდება. მაგალითად, რუსულენოვანი ტექნიკური დარგების ბარბარიზმები, ერთი შეხედვით, საკმაოდ ფეხმოკიდებულია ენაში. ავტომანქანის სახელოსნოებში ვერსად ნახავთ წარწერას „ნახარი“, თუმცა მისი ბარბარიზმი „რაზვალი“ ყოველი ფეხის ნაბიჯზე შეგხვდებათ, ასევეა „ხადავიკი“ (ქართულად – სავალი ნაწილი), „დვორნიკი“ (ქართულად – მინასანმენდი), „პრაკლადკა“ (ქართულად – შუასადები) და სხვა. მიუხედავად ასეთი ფართო გავრცელებულობისა, ასეულობით რუსულენოვანი ბარბარიზმი ვერ ასიმილირდა ენაში, სალიტერატურო ქართული ენის ნაწილად ვერ იქცა და ასოცირდება გაუნათლებელ, მდაბიურ მეტყველებასთან.

რა შემოიტანა ქართულ ენაში ინგლისურენოვანმა ბარბარიზმებმა?

სჭირდება თუ არა ქართულ ენას ეს სიტყვები?

აქვთ თუ არა მათ შესატყვისები ქართულ ენაში?

საკმარისია თვალი გადავავლოთ ამ სიტყვებს და ნათლად დავინახავთ, რომ მათ აქვთ ქართული შესატყვისები:

დააფდეთება to update – განახლება

დაკლიკვა to click – დანკაპუნება

დათაგვა to tag – მონიშვნა

დაფორვარდება to forward – გადაგზავნა

დაქენსელება to cancel – გაუქმება

დისემინაცია dissemination – გავრცელება

დედლაინი deadline – ბოლო ვადა

დეიოფი day off – ერთდღიანი შვებულება

დესტინაცია destination – დანიშნულების ადგილი

დრაივი drive – მუხტი

ევალუაცია evaluation – შეფასება

ემერჯენსი emergency – სასწრაფო დახმარება, სასწრაფო დახმარების მანქანა

ექშენ ფლენი action plan – სამოქმედო გეგმა

ვალიდურობა validity – კანონიერი ძალა, ძალამოსილობა / ძალამოსილება

იმპლემენტაცია implementation – განხორციელება, შესრულება

კოლაბორაცია collaboration – თანამშრომლობა

და სხვა.

ამ ტიპის არასაჭირო ნასესხობას ბარბარიზმებს ვუწოდებთ. ბარბარიზმს აქვს რამდენიმე დამახასიათებელი ნიშანი: 1. ის არასაჭირო ნასესხობაა, რადგან ენას აქვს მისი შესაბამისი სიტყვა ან სიტყვები. ამ თვალსაზრისით, ბარბარიზმი განსხვავდება უცხო ენის სიტყვისგან, რომელსაც ენაში შემოაქვს ახალი ცოდნა, მაგ. კომპიუტერი, ინტერნეტი, კლონი, მუტაცია და სხვ.; 2. მისი ხშირი გამოყენება მშობლიური ენის სიტყვას ან სიტყვებს განდევნის ხმარებიდან და იწვევს ენის გაღარიბებას; 3. ენობრივი საზოგადოება ბარბარიზმებს ენაში აღიქვამს „ენის ვულგარულ, დაუხვეწელ მდგომარეობად“ (ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონი).

2018 წელს მოძრაობის „არა ბარბარიზმებს“ ფარგლებში შეიქმნა და ინტერნეტში განთავსდა „ბარბარიზმების ონლაინლექსიკონი“ (<https://barbarisms.ge>). ლექსიკონში შეტანილია რუსული და ინგლისური წარმომავლობის 1100-ზე მეტი ბარბარიზმი. ლექსიკონი საკმაოდ პოპულარულია, ამ პერიოდში იგი გამოიყენა 334,285 ადამიანმა, მივიღეთ 16,000-ზე მეტი უკუკავშირი ბარბარიზმების ქართული შესატყვისების შესატყვისებლად და ეს უკუკავშირი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მონონების გამომხატველია. „ბარბარიზმების ონლაინლექსიკონის“ მიზანია დაეხმაროს ქართულ საზოგადოებას განთავისუფლდეს როგორც რუსული, ისე ინგლისური ბარბარიზმებისგან. ამ ბროშურაში კი შევითანეთ ყველაზე გავრცელებული ინგლისურენოვანი ბარბარიზმები.

ბოლოთქმა

ამ ბროშურით შევეცადე ჩემი ნაფიქრალი გამეზიარებინა თქვენთვის ქართულ ენაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. ძალიან ბევრ შეცდომას ვუშვებთ. ენაში შემოგვაქვს ინგლისური სიტყვები და ვანაცვლებთ მათ შესატყვის ქართულ სიტყვებს; უფრო მეტიც, ზოგ ინგლისურ სიტყვას ვსესხულობთ მისი ყველა პოლისემიური მნიშვნელობით და რამდენიმე განსხვავებული მნიშვნელობის გადმოსაცემად ერთ ნასესხობას ვიყენებთ, რითაც დიდ ბუნდოვანებას და გაუგებრობას ვქმნით; ქართულ სიტყვებს, ინგლისური სიტყვების პოლისემიის გავლენით, თავს ვახვევთ მათთვის არაბუნებრივ მნიშვნელობებს; ლათინური ძირის სიტყვებს ხელახლა ვსესხულობთ ინგლისური ენიდან და სრულიად უგულებელვყოფთ მათ ქართულ ენაში უკვე დამკვიდრებულ მნიშვნელობებს; სიტყვასიტყვით ვთარგმნით ინგლისურიდან და ქართულ ენისთვის ხელოვნურ, არაბუნებრივ გამონათქვამებს ვამრავლებთ.

ამ ბროშურაში ძირითადად გაანალიზდა ლექსიკური შეცდომები, თუმცა მნიშვნელოვან ძვრებს ვხედავთ ისეთ მყარ სისტემებში, როგორცაა მორფოლოგია და სინტაქსი.

ენა მუდმივად ვითარდება და იცვლება! ენაში გაჩნდება ახალი სიტყვები, მათ შორის ნასესხები სიტყვები.

ჩვენ არ ვართ და ვერც ვიქნებით ცვლილებების წინააღმდეგი!

მაგრამ ვართ ქაოსური, შეცდომებით და არასწორი წარმოდგენებით გამოწვეული ცვლილებების წინააღმდეგი!

ამ ბროშურის მიზანი სწორედ ის არის, რომ ამ შეცდომებზე ვაამახვილოს ქართული საზოგადოების ყურადღება.

ინგლისური ნარმოავლობის ბარბარიზმების მცირე ლექსიკონი

ა

აპლიკანტი applicant (ინგლ.) განმცხადებელი; კანდიდატი
ნელს ბევრი აპლიკანტი განმცხადებელი / კანდიდატი გვყავს.

აპლიკაცია application (ინგლ.) განაცხადი, განცხადება
შეავსეთ აპლიკაცია განცხადება და გააგზავნეთ მითითებულ
მისამართზე.
სააპლიკაციო განცხადების ფორმა.

აპროქსიმაცია approximation (ინგლ.) დაახლოება
ევროკავშირთან აპროქსიმაცია დაახლოება.

აროგანტული arrogant (ინგლ.) ქედმაღალი, მედიდური, ამპარ-
ტავანი
გთხოვთ, აროგანტულობაში ქედმაღლობაში ნუ ჩამომართმევთ.

ასისტანსი assistance (ინგლ.) დახმარება
24-საათიანი სამედიცინო ასისტანსი დახმარება.

ასპირანტი aspirant (ინგლ.) მაძიებელი, მსურველი
ევროკავშირში განწევრიანების ასპირანტი მსურველი / მაძიებელი
ქვეყნები.

ატიტუდი attitude (ინგლ.) დამოკიდებულება
დისკრიმინაციული ატიტუდი დამოკიდებულება / მიდგომა.

აუთლაინი outline (ინგლ.) მონახაზი
პროექტის აუთლაინი მონახაზი.

აუტქამი outcome (ინგლ.) შედეგი
განვიხილოთ პროექტის აუტქამი შედეგი.

აფლოუდი, აფლოუდინგი to upload (ინგლ.) ატვირთვა
ამ ფაილის ინტერნეტ-გვერდზე აფლოუდინგს ატვირთვას 10
წუთი დასჭირდება.

აქტორი actor (ინგლ.) მოქმედი პირი
გახდი პოლიტიკური მოვლენების მთავარი აქტორი მოქმედი
პირი.

აჯენდა agenda (ინგლ.) დღის წესრიგი
ვაქვეყნებთ შეხვედრის აჯენდას დღის წესრიგს.

ბ

ბაიერი buyer (ინგლ.) შესყიდვების მენეჯერი, შემსყიდველი
მისი კოლეჯით უცხოელი ბაიერები შემსყიდველები დაინტე-
რესდნენ.

ბასლაინი, ბასლაინი bus lane (ინგლ.) ავტობუსის ზოლი.

ბენეფიტი benefit (ინგლ.) სარგებელი
დამატებითი ბენეფიტი სარგებელი თანამშრომლებისათვის.

ბექგრაუნდი background (ინგლ.) ფონი, კონტექსტი; განათლება, ცოდნა; წარმომავლობა, ოჯახი
პოლიტიკური ბექგრაუნდი წარსული / კონტექსტი
ემოციური ბექგრაუნდი ფონი
ჩემი ბექგრაუნდი ცოდნით უნივერსიტეტში ვერ ჩავაბარებ.
პროტესტი საკუთარი ბექგრაუნდის ოჯახის / გარემოცვის მიმართ.

ბორდი board (ინგლ.) მმართველობა; საბჭო; კომისია, კოლეგია; კომიტეტი
თითქმის 5-წლიანი დირექტორობის შემდეგ, ბატონი სმითი კომპანია N-ის ბორდში მმართველ საბჭოში ინაცვლებს.

ბრეიქი break (ინგლ.) შესვენება
პროგრამაში ბრეიქი შესვენება უნდა გამოვაცხადოთ.

ბ

გაიდლაინი guideline (ინგლ.) სახელმძღვანელო პრინციპი / მითითება; რეკომენდაცია; ინსტრუქცია
შაქრიანი დიაბეტის მართვის გაიდლაინი სახელმძღვანელო მითითებები / რეკომენდაციები.

გაშეარება to share (ინგლ.) გაზიარება
ეს ინფორმაცია გააშეარეთ გააზიარეთ.

დ

დააფდეთება to update (ინგლ.) განახლება
ეს ინფორმაცია მოძველდა, თუ შეიძლება დაააფდეთეთ განახლებით.

დაბუსტვა to boost (ინგლ.) რეკლამის გაკეთება, პოპულარობის გაზრდა
დაბუსტეთ თქვენი ფეისბუქის გვერდი, გაზარდეთ თქვენი ფეისბუქის გვერდის პოპულარობა.

დაკლიკვა to click (ინგლ.) დანკაპუნება
დაკლიკეთ დაანკაპუნეთ მარჯვენა ღილაკზე.

დალინკვა link (ინგლ.) ბმულის გაკეთება
ეს სიტყვა დალინკეთ ამ სიტყვას ბმული გაუკეთეთ.

დათაგვა to tag (ინგლ.) მონიშვნა
სურათზე დათაგეთ მომნიშნეთ, თუ შეიძლება.

დასეივება to save (ინგლ.) შენახვა
სმირად დასეივეთ შეინახეთ დოკუმენტი მუშაობისას.

დასინვა to see (ინგლ.) ნახვა
ეს ინფორმაცია დასინვ ვნახე, მაგრამ პასუხი არ მიმინერია.

დაუნლოუდი, **დაუნლოუდინგი** to download (ინგლ.) ჩამოტვირთვა
ამ ფაილის ინტერნეტგვერდიდან დაუნლოუდინგს ჩამოტვირთვას 2 წუთი დასჭირდება.

დაფორვარდება to forward (ინგლ.) გადაგზავნა
შეხვედრის დღის წესრიგი ჩაასწორეთ და დაამიფორვარდეთ
გადმომიგზავნეთ.

დაქენსელება to cancel (ინგლ.) გაუქმება
თრენა დააქენსელებს გააუქმეს.

დაშვარება იხილეთ გაშვარება

დაჩექინება to check in (ინგლ.) დარეგისტრირება
დაჩექინდით დარეგისტრირდით საქართველოში.

დისემინაცია dissemination (ინგლ.) გავრცელება
კვლევის შედეგების დისემინაცია გავრცელება.

დედლაინი deadline (ინგლ.) ბოლო ვადა
როდის არის საბუთების ჩაბარების დედლაინი ბოლო ვადა?

დეიფი day off (ინგლ.) ერთდღიანი შვებულება
ხვალ სამსახურიდან დეიფი ერთი დღე / ერთდღიანი შვებულება
უნდა ავიღო.

დესტინაცია destination (ინგლ.) დანიშნულების ადგილი
საქართველო – ტურიზმის მთავარი დესტინაცია დანიშნულების
ადგილია.

დრაივი drive (ინგლ.) მუხტი
დიდი კონკრეტული დრაივი შემოქმედებითი მუხტი შემოიტანე.

ე

ედიტორი editor (ინგლ.) რედაქტორი
უფროსი ედიტორი რედაქტორი.

ედიტორიალი editorial (ინგლ.) გაზეთის მონინავე / სარედაქციო სტატია; (*გადაცემის ავტორის*) შესავალი სიტყვა
„ვაშინგტონ პოსტის“ ედიტორიალი სარედაქციო სტატია გვაუწყებს.

ევალუაცია evaluation (ინგლ.) შეფასება
სასწავლო პროცესის დაგეგმვა, მართვა და ევალუაცია შეფასება.

ევიდენსი evidence (ინგლ.) მონაცემები, ფაქტები
არსებობს ევიდენსი ფაქტები, რომ ვაშლი ამცირებს ფილტვის კიბოს განვითარების ალბათობას.

ემერჯენსი emergency (ინგლ.) სასწრაფო დახმარება, სასწრაფო დახმარების მანქანა
ავადმყოფი ემერჯენსი სასწრაფო დახმარებით მიიყვანეს საავადმყოფოში.

ენდ-იუზერი end-user (ინგლ.) (საბოლოო) მომხმარებელი
ვინ არის ამ პროდუქციის ენდ-იუზერი საბოლოო მომხმარებელი?

ეჩაუნტი account (ინგლ.) მომხმარებლის ანგარიში
პროგრამაში შესასვლელად ჯერ ეჩაუნტი ანგარიში უნდა გახსნათ.

3

ვალიდაცია to validate (ინგლ.) დამტკიცება, დადასტურება
ლატარიაში მოგებული თანხის ვალიდაცია დადასტურება.

ვალიდური valid (ინგლ.) დასაბუთებული, სარწმუნო; (იურიდიუ-
ლი მნიშვნელობით) მოქმედი, კანონიერი ძალის მქონე, ძალამო-
სილი
დოკუმენტი ვალიდურია ძალაშია 10 დღის განმავლობაში.
ვალიდური სარწმუნო ინფორმაცია.

ვალიდურობა validity (ინგლ.) კანონიერი ძალა, ძალამოსილობა
/ ძალამოსილება
დოკუმენტის ვალიდურობის ძალამოსილების დადგენა.

ვალი wall (ინგლ.) კედელი
ფეისბუკის ვალიზ კედელზე გაკეთებული განცხადებები.

ვორდინგი wording (ინგლ.) სიტყვიერი ფორმულირება
მასკულინური ვორდინგი მამაკაცური მეტყველება
მეათე წელია ეს ვორდინგი სიტყვები გვესმის.

ო

ივენტი event (ინგლ.) ღონისძიება; შეკრება, თავყრილობა; კონცერტი

~~ივენთ-მენეჯერი~~ ღონისძიებათა მენეჯერი

~~მუსიკალური ივენთი~~ კონცერტი

~~ივენთის~~ ღონისძიების დაგეგმვა.

იმპლემენტაცია implementation (ინგლ.) განხორციელება, შესრულება

პროექტის ~~იმპლემენტაცია~~ განხორციელება.

ინვენტორი inventor (ინგლ.) გამომგონებელი

ყოველწლიურად პროექტის ფინალში რამდენიმე ათასი ნორჩი ~~ინვენტორი~~ გამომგონებელი იღებს მონაწილეობას.

იუზერი user (ინგლ.) მომხმარებელი

ამ პროგრამას ბევრი ~~იუზერი~~ მომხმარებელი ჰყავს.

იუზერნეიმი username (ინგლ.) მომხმარებლის სახელი

შეიყვანეთ თქვენი ~~იუზერნეიმი~~ მომხმარებლის სახელი.

3

კოავტორი co-author (ინგლ.) თანაავტორი

ის არის საგანმანათლებლო პროგრამის კოავტორი თანაავტორი.

კოლაბორაცია collaboration (ინგლ.) თანამშრომლობა, ერთობ-
ლივი მუშაობა

დიზაინერთან კოლაბორაციაში თანამშრომლობამ საოცარი შედე-
გი გამოიღო.

კომუნიკაციაში ყოფნა to be in communication (ინგლ.) კავში-
რის ქონა

ბოროდის წევრები ერთმანეთთან კომუნიკაციაში იყვნენ.

სამეურვეო საბჭოს წევრებს ერთმანეთთან კავშირი ჰქონდათ.

კომუნიკაციის ქონა to have communication (ინგლ.) დაკავშირება
ამ საკითხებზე კომუნიკაცია გვქონდა დაუკავშირდით ეროვნულ
ბანკს.

კონტრიბუცია contribution (ინგლ.) წვლილი

საქართველოს კონტრიბუცია წვლილი საერთაშორისო მისიებში
ქვეყნის ეკონომიკაში ყველაზე დიდი კონტრიბუცია წვლილი
ტურისტების რაოდენობის ზრდამ შეიტანა.

კოოპერაცია cooperation (ინგლ.) თანამშრომლობა

ამ კომპანიასთან კოოპერაცია თანამშრომლობა ძალიან ნაყო-
ფიერია.

კოპროდუქტი, კოპროდუქცია co-production (ინგლ.) ერთობლივი ნამუშევარი (*ფილმი, სპექტაკლი*)

ფილმი ქართულ-პოლონური კოპროდუქციაა ერთობლივი ნამუშევარია.

ბათუმის დრამატული თეატრის ახალ სცენაზე კიდევ ერთი ბრიტანულ-ქართული კოპროდუქციაა ერთობლივი სპექტაკლი განხორციელდება.

კოფიბრეიკი coffee break (ინგლ.) შესვენება ყავის დასალევად პროგრამით ორი კოფიბრეიკია შესვენებაა გათვალისწინებული ყავის დასალევად.

ლ

ლაივი live (ინგლ.) პირდაპირი ეთერი
ამ კონცერტს თქვენ ლაივში პირდაპირ ეთერში ნახავთ.

ლაიტი light (ინგლ.) მსუბუქი, იოლი
ეს ჩემთვის ლაიტი მსუბუქი / იოლი კითხვები არ იყო.

ლიდერშიპი leadership (ინგლ.) 1) ხელმძღვანელობა; ხელმძღვანელები;

პარტიის ლიდერშიპი ხელმძღვანელობა;

2) ლიდერობა;

ლიდერშიპის ლიდერობის პროგრამა.

ლინკი link (ინგლ.) ბმული

ამ ვებგვერდის ლინკი ბმული გამომიგზავნე.

ლოგაუთი to log out (ინგლ.) გამოსვლა (*სისტემიდან, პროგრამიდან და ა.შ.*)

სისტემიდან ლოგაუთი გამოსვლა.

ლოგინი to log in (ინგლ.) შესვლა (*სისტემაში, პროგრამაში და ა.შ.*)
სისტემაში ლოგინი შესვლა.

ლოკაცია location (ინგლ.) ადგილი, ადგილმდებარეობა
ფესტივალის ჩატარების დრო და ლოკაცია ადგილი
ეს სასტუმრო შესაძლოა კინოგადაღებების ლოკაცია ადგილი
გახდეს.

ლოზერი looser (ინგლ.) უვარგისი / უხეირო ადამიანი, ხელმო-
ცარული ადამიანი
მთელი ცხოვრება ლოზერი უხეირო და უვარგისი იყავი.

ლოუქი look (ინგლ.) შესახედაობა, გარეგნობა
ლოუქებით გარეგნობით ყველა დაჩრდილა.

მ

მასკულინური masculine (ინგლ.) მამაკაცისა; მამაკაცური
მასკულინური მამაკაცის ხაზი (*ტანსაცმლისა*)
მასკულინური მამაკაცური სახის ნაკვთები.

მეინსტრიმული mainstream (ინგლ.) წამყვანი
მეინსტრიმული ტრენდი წამყვანი მიმდინარეობა / ტენდენცია.

მითინგი meeting (ინგლ.) შეხვედრა
ეს საკითხი მითინგზე შეხვედრაზე განვიხილოთ.

მითინგ-რუმი meeting room (ინგლ.) შეხვედრების ოთახი
თათბირი მესამე მითინგ-რუმში შეხვედრების ოთახში ჩატარდება.

მისინტერპრეტაცია misinterpretation (ინგლ.) არასწორი ინტერ-
პრეტაცია, არასწორი ახსნა-განმარტება
ეს ჩემი ნათქვამის მისინტერპრეტაციაა არასწორი ინტერპრე-
ტაციაა.

მისკომუნიკაცია miscommunication (ინგლ.) ინფორმაციის არა-
სწორი გავრცელება
მისკომუნიკაცია მოხდა ინფორმაცია არასწორად გავრცელდა.

ნ

ნეტვორქინგი networking (ინგლ.) სასარგებლო კონტაქტები /
კავშირები; სასარგებლო კავშირების / კონტაქტების დამყარება
წარმატების მიღწევისათვის ცოდნასთან ერთად დიდი მნიშვნე-
ლობა აქვს ნეტვორქინგს კავშირებს, კონტაქტებს.

ო

აბზერვაცია observation (ინგლ.) დაკვირვება
ემპირიული აბზერვაცია დაკვირვება.

ავერლაპი to overlap (ინგლ.) გადაფარვა
ფილიალების მიერ ფუნქციების ავერლაპი გადაფარვა სერიო-
ზული პრობლემაა.

პ

პატერნი pattern (ინგლ.) 1) ნიმუში, მოდელი; მსგავსება, კანონ-
ზომიერება

ქცევის პატერნი ყაიდა / მანერა / სტილი; ქცევის თავისებურება /
კანონზომიერება;

ქვისების ცალკეული შემთხვევების პატერნი მსგავსება / საერთო
ნიშანი / კანონზომიერება;

2) სახე, მოხატულობა, ორნამენტი;

გეომეტრიული პატერნი სახე / ორნამენტი.

პეიჯი იხილეთ ფეიჯი

პონთი იხილეთ ფონთი.

პრეფერენცია preference (ინგლ.) უპირატესობა
ამ საკითხებს ანიჭებენ პრეფერენციას უპირატესობას.

ფროფოუზალი proposal (ინგლ.) წინადადება, შეთავაზება
საინტერესო ფროფოუზალი შეთავაზება მივიღე.

პროცესინგი processing (ინგლ.) დამუშავება
მიმდინარეობს ბარათის პროცესინგი დამუშავება.

რ

რეზერვაცია reservation (ინგლ.) დაჯავშნა
გააკეთეთ სასტუმროს რეზერვაცია? დაჯავშნეთ სასტუმრო?

რეპორტი report (ინგლ.) ანგარიში
წლიური რეპორტი ანგარიში.

რეგისტრაცია reregistration (ინგლ.) ხელახალი რეგისტრაცია
სკოლის რეგისტრაციის ხელახალი რეგისტრაციის ფორმა.

რესეფშენი reception (ინგლ.) მიმღები (*განყოფილება*)
სასტუმროს რესეფშენი მიმღები
საავადმყოფოს რესეფშენი მიმღები განყოფილება.

რესეფშენისტი, **რესეფციონისტი**, **რეცეფციონისტი** receptionist
(ინგლ.) მიმღები განყოფილების თანამშრომელი
სასტუმრო აცხადებს ვაკანსიას რესეფშენისტის მიმღები განყოფი-
ლების თანამშრომლის თანამდებობაზე.

რეკვესტი request (ინგლ.) მოთხოვნა
ფეისბუქში დამეგობრების რეკვესტი მოთხოვნა გამომიგზავნე.

ს

სელებრიტი celebrity (ინგლ.) ცნობილი / პოპულარული ადამიანი
ფართოზე წვეულებაზე ბევრი სელებრიტი ცნობილი ადამიანი
იყო მონვეული.

სენსიტიური sensitive (ინგლ.) ფაქიზი, საფრთხილო
სენსიტიური ფაქიზი / საფრთხილო თემა.

სტოკი stock (ინგლ.) მარაგი
საქონელი სტოკში მარაგში არ არის.

სტაფი staff (ინგლ.) თანამშრომლები; პერსონალი
გაიცანით ჩემი სტაფ-მეგობერი თანამშრომელი.

სუპერვაიზერი supervisor (ინგლ.) ზედამხედველი, ხელმძღვანელი
კომპანია აცხადებს ვაკანსიას სუპერვაიზერის ზედამხედველის
თანამდებობაზე.

სფიჩი speech (ინგლ.) სიტყვა, გამოსვლა
ყველა სფიჩი გამოსვლა 30 წუთში უნდა ჩაეტოს.

სქილები skills (ინგლ.) უნარები, უნარ-ჩვევები
თქვენ გაქვთ ეს სქილები უნარები?

ტ

ტარგეტირებული targeted (ინგლ.) გამიზნული
ტარგეტირებული გამიზნული სარეკლამო კამპანია.

ტენდი trend (ინგლ.) მიმართულება, მიმდინარეობა, ტენდენცია
მოდური ტენდი მიმდინარეობა / ტენდენცია.

ტრიგერი trigger (ინგლ.) გამომწვევი
რა გახდა ამ მოვლენის ტრიგერი გამომწვევი?

უ

ურგენტული urgent (ინგლ.) სასწრაფო, გადაუდებელი
ურგენტული სასწრაფო / გადაუდებელი ოპერაცია.

ფ

ფართი party (ინგლ.) წვეულება; შეკრება; მიღება; დროსტარება
მანანას ფართიზე წვეულებაზე კარგად მოვილხინეთ
ახალგაზრდული ფართი შეკრება / დროსტარება
საელჩომ თანამშრომლებისთვის ფართი-მოაწყობ მიღება გა-
მართა.

ფასვორდი password (ინგლ.) პაროლი
ჩემი ფასვორდი პაროლი დამავიწყდა.

ფასილიტატორი facilitator (ინგლ.) წარმმართველი; წამყვანი მასწავლებელი სასწავლო პროცესის **ფასილიტატორია** წარმმართველია

დისკუსიის **ფასილიტატორი** წარმმართველი / წამყვანი.

ფეისი face (ინგლ.) სახე

თამუნა ჩვენი კომპანიის **ფეისი** სახე გახდა.

ფეიჯი fake (ინგლ.) ყალბი რამ

დიორის ორიათას ევროდ ღირებული ჩანთის **ფეიჯი** ყალბი ვარიანტი.

ფეიჯ-ნიუსი fake news (ინგლ.) ყალბი / გაყალბებული ინფორმაცია.

ფეიჯი page (ინგლ.) გვერდი

ლამილაიქეთ მოიწონეთ ჩემი **ფეიჯი** გვერდი.

ფიგურანტი фигурант (რუს.) მონაწილე, მოქმედი პირი; (*იურიდიული მნიშვნელობით*) ეჭვმიტანილი

კაბელეების საქმის **ფიგურანტები** მონაწილეები

იგი იყო აგორებული სკანდალის მთავარი **ფიგურანტი** მოქმედი პირი სისხლის სამართლის საქმის **ფიგურანტი** საქმეზე ეჭვმიტანილი.

ფილბეჭი feedback (ინგლ.) უკუკავშირი, გამოხმაურება, რეაქცია (*მოვლენაზე, ღონისძიებაზე და ა.შ.*)

მკითხველთა **ფილბეჭი** გამოხმაურება / უკუკავშირი

ის **ფილბეჭი** გამოხმაურება / უკუკავშირი, რომელსაც ყოველდღე ვიღებთ ამ კომპანიისაგან.

ფონტი point (ინგლ.) საკითხი

მაგ ფონტისთვის საკითხისთვის ყურადღება არ მიმიქცევია
ბუღალტრ-ფონტები საკვანძო / ძირითადი საკითხები.

ფოლოუერი follower (ინგლ.) მიმდევარი

რამდენი ფოლოუერი მიმდევარი ჰყავს თქვენს გვერდს?

ფრენდი friend (ინგლ.) მეგობარი

რამდენი ფრენდი მეგობარი გყავთ ფეისბუქზე?

ფრუსტრირებული frustrated (ინგლ.) იმედგაცრუებული

დავითი ფრუსტრირებული იმედგაცრუებული იყო ამ ვითარებით.

ქ

ქეისი case (ინგლ.) 1. კერძო შემთხვევა, (კონკრეტული) მაგალითი; (*იურიდიული მნიშვნელობით*) სასამართლო საქმე; პრეცედენტი, შემთხვევა სასამართლო პრაქტიკაში; 2. (*მობილური ტელეფონის და სხვ.*) ჩასადები

განვიხილოთ სხვადასხვა ბიზნეს-ქეისი მაგალითი ბიზნესის სფეროდან

პრაგმატული პოლიტიკა: თურქეთის ქეისი მაგალითი ყათლანიშვილის ქეისი საქმე არის ამ ხელისუფლების კლასიკური ხელწერა.

შ

შოურომი showroom (ინგლ.) საგამოფენო დარბაზი; სადემონსტრაციო დარბაზი

ავჯის შოურომი საგამოფენო დარბაზი.

ჩ

ჩელენჯი challenge (ინგლ.) გამოწვევა

ეს კომპანიისათვის ახალი ჩელენჯის გამოწვევის წყაროდ გადაიქცევა.

დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინლექსიკონი
www.dict.ge

ინგლისურ-ქართული სასწავლო
ონლაინლექსიკონი
<https://en.bab.la/dictionary/english-georgian>

ინგლისურ-რუსულ-ქართული ტექნიკური
ონლაინლექსიკონი
<https://techdict.ge>

ინგლისურ-ქართული ბიოლოგიური
ონლაინლექსიკონი
<https://bio.dict.ge>

ინგლისურ-ქართული სამხედრო
ონლაინლექსიკონი
<https://mil.dict.ge>

ბარბარიზმების ლექსიკონი
<https://barbarisms.ge>

14 აპრილი ქართული ენის დღეა


თინათინ მარგალიტაძე

ლექსიკოგრაფი,
ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტის
პროფესორი, უნივერსიტეტის
„ლექსიკოგრაფიისა და
ენობრივი ტექნოლოგიების
ცენტრის“ დირექტორი.



„დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინლექსიკონის“
ერთ-ერთი შემდგენელი, მთავარი რედაქტორი და გა-
მომცემელი (www.dict.ge); „ინგლისურ-ქართული
სასწავლო ლექსიკონის“ ერთ-ერთი შემდგენელი და
რედაქტორი (<https://learners.dict.ge>); „ინგლისურ-ქა-
რთული სამხედრო ონლაინლექსიკონის“ ([http://mil.
dict.ge](http://mil.dict.ge)), „ინგლისურ-ქართული ბიოლოგიური ონლაინ-
ლექსიკონისა“ (<http://bio.dict.ge>) და „ინგლისურ-რუ-
სულ-ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის ონლაინ-
ლექსიკონის“ (<http://tech.dict.ge>) რედაქტორი.

ლექსიკოგრაფიის სამაგისტრო და სადოქტორო პრო-
გრამების ავტორი და ხელმძღვანელი ილიას სახელმ-
წიფო უნივერსიტეტში.



9 789941 343117